REVUE MENSUELLE

თვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14e).

№ 1-8 იანვარი 1938 № 1-8

შინაარსი:

ჰაიდარ ბამმატ — ისევ კავკასიის სამზღვრების შესახებ

გენ. გ. კვინიტაძე — მთავრობის „საჭირო განმარტების“ გამო

ვლ. ახმეტელი — ნოე ჟორდანიას მორიგი ვერაგობა

მიხ. კედია — „კავკაზის“ გარშემო

ელიზბარ ვაჩნაძე — წერილი რედაქციის მიმართ

ისევ კავკასიის სამზღვრების შესახებ

უხალისოთა და ფრიად უხალისოთ უბრუნდებით ჩვენ ამ უმადურ თემას.

ყოველი დამონებული ერითსავის, რომელიც კი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ისწრაფვის, სამზღვრების საკითხი მუდამ ძნელი და სახიფათო საკითხია.

ჩვენთვის, კავკასიელებისათვის ხომ, ეს საკითხი კიდევ უფრო გართულებულია იმით, რომ ლაპარაკია არა მარტო იმ სახელმწიფოსგან გამომიჯვნის შესახებ, რომელიც დღეს ჰფლობს ჩვენს ქვეყანას, ან რომლებიც შეიქმნებიან მომავალში ჩვენს გვერდით, საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ, არამედ ლაპარაკია აგრეთვე იმ დამოკიდებულებაზედ, რომელიც უნდა გვქონდეს ჩვენ ჩვენი სამხრეთის მეზობელ ოსმალეთთან და ირანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმჯობესი იქნებოდა, რა თქმა უნდა, რომ ამ სათუთ საკითხს არც შევხებოდეთ და იგი არა აქტუალურად მიგვეჩნია.

ასე იქცეოდა აქამდის ყველა კავკასიური ემიგრანტული დაჯგუფება.

ვიდრე ჩვენ პოლიტიკურ ჩიხში ვიყავით გაჩხირული, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ იცავდა თავის შენაძენს და ვიდრე არ არსებობდა რეალური წარმოდგენა, რომ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების დღე მართლა ახლოვდება, ასეთი პოზიცია დიდ უხერხულობას არ წარმოადგენდა.

ჩვენი საერთო იდეის საქადაგებლად ევროპაში, კავკასიელ ერთა დამოუკიდებლობის იდეის მორალურად და იდეურად განმტკიცებისათვის საჭირო არ იყო, რომ ჩვენს ტერიტორიალურ საზღვრებზედ ზედ მიწევნით გვემსჯელა.

ხოლო რაც შეეხება ირანსა და ოსმალეთს, რომლებიც ბუნებრივად დაინტერესებულნი არიან თავიანთ კავკასიურ საზღვრების სიმტკიცესა და უზრუნველყოფაში — იქ შეუძლებელი იყო კავკასიურ ემიგრაციის რაიმე პოლიტიკურ მოღვაწეობაზედ ფიქრიც კი. შეუძლებელი იყო არა თუ რაიმე ანტისაბჭოური მოქმედება, არამედ უბრალო პროპაგანდაც კი ჩვენთვის.

ოსმალეთმა და ირანმაც დროზე გამოაკეთეს თავისი დამოკიდებულება ს.ს.რ. კავშირთან. ორივე ქვეყნისთვის ფაქტიური მეპატრონე და კავკასიური პოლიტიკის სუბიექტი —მოსკოვი იყო. მოსკოვთან მრავალნაირად ხელსაყრელ და სასარგებლო მეგობრობის წახდენა არა სურდა არც ანგორას, არც თეირანს.

ამის გამო მორალზედ მსჯელობა და მუსაიფი დროს უსარგებლო და უჭკუო დაკარგვა იქნებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ რეალურად მოაზროვნე კავკასიელი პოლიტიკური მოღვაწენი, ანაგებ პირობებში ასევე მოიქცეოდნენ.

მაგრამ მსოფლიო ვითარება იცვლება. ჩვენი თვალის წინ დაწყებულ ევროპის სახელმწიფოთა გადაჯგუფების და შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ მრისხანე ამბების ხანაში, კავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორების საკითხი პლატონისებურ მისწრაფებათა ფარგალიდან პრაქტიკულ პოლიტიკურ ამოცანათა ფარდებში გადადის.

საჭირო არ არის კაცი წინასწარმეტყველი იყოს, რათა გაითვალისწინოს, რომ ფრიად მალე კავკასიელ ერთა ისტორიულ ბედისწერის საქმე, როგორც ეს 1918 წელში უკვე მოხდა, ისევ მათ საკუთარ ხელში მოჰყვება... და ამისათვის მზა უნდა ვიყვნეთ.

ჩვენ თაობას უცხო ბედი დაჰყვა. განგება ხელმეორედ ხდის მას დიდ დრამის მონაწილედ, რომელშიაც ის, ამ ოცი წლის წინეთ, ასე სამარცხვინოდ ჩაიჭრა. დადგა წუთი, როცა მან თავისი შეცდომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაიხსენოს და ზომაც მიიღოს, რომ ეს შეცდომები კვლავ აღარ განმეორდნენ.

თქმა არ უნდა, რომ 1917—1921 წლების ამბებმა კავკასიელ ერებს მოუმზადებლებს მოუსწრეს იმ ამოცანისათვის, რომელიც მათ ისტორიამ წაუყენა. პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებმაც ვერ უსაჭევეს კავკასიელ რესპუბლიკათა სუმბუქ ნავებს, საშელავათო საბუთების მოყვანაც შეუძლიანთ. ჩვენ არ გვინდა მათ იაფფასიანი მხილებანი წაუყენოთ.

წარსულისაკენ ჩვენ ვიხედებით მხოლოდ იმ განზრახვით, რამდენათაც ეს საჭიროა, რომ მისი შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

■

გვგონია, ეხლა მეტიც კი არის ვამტკიცოთ, რომ 1918 წლის ძირითადი უბედურება ის იყო, რომ ჩვენ არა გვქონდა კავკასიური ფსიხოლოგია და ჩვენ არაფერი გაგვეგებოდა კავკასიის ფიზიკური და ეტნოგრაფიული რუქისა. ამას კავკასიის ერთათვის აქედან გამომდინარე საჭირო პოლიტიკური დასკვნები უნდა მოჰყვეს.

კავკასიის გეო - პოლიტიკური ერთიანობის იდეიამ ამ ოცი წლის მანძილზედ, საკმაოდ გაიდგა ფესვი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის შეგნებაში. კავკასიის კონფედერაციის შესახებ — მართალია ისე რომ ამ განყენებულ ფორმულაში ნამდვილ კავკასიურ შინაარსის ჩადებას ბევრი უფრთხის —მისი ყოფილი პრინციპიული მოწინააღმდეგენიც კი ლაპარაკობენ.

მათ გულწრფელობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, ეჭვი უნდა შევიტანოთ, რადგან საგარეო პოლიტიკის ფარდში, ჩვენი ემიგრაციის ეს ნაწილი ძველებურად უარზედა სდგას, რათა კავკასიის არსებობის ფაქტისგან და მის დამოუკიდებელ სახელმწიფოს იდეისაგან გამომდინარე დასკვნანი გააკეთოს.

მრავალჯერ თქმულა და კერძოდ „კავკაზის“ ფურცლებზედაც, რომ კავკასიას მოეპოვება არა მარტო ობიექტივური საბუთები და იურიდიული უფლებანი, **არამედ ნიშანდობლივი შანსებიც,** რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს.

ეს უფლებანი და საბუთები გამომდინარეობენ გეოგრაფიისა, ეკონომიკისა, ეტნოგრაფიისა და ისტორიისაგან.

შანსები კი — საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებისაგან, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს, ჩვენი სამხრეთ მეზობლების —ოსმალეთის და ირანის დაინტერესება —რათა კავკასია იყოს მტკიცედ გაერთიანებული ცხოველმყოფელ სახელმწიფო,რომელიც ითავებს რომ მათს და რუსეთის შორის ბუფერის ან ტრედ -უნიონის როლი ითამაშოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიონის ყელის ასეთი მომავლის პოლიტიკური კონცეპცია, რომლითაც შესაძლებელია დაინტერესებულნი იყვნენ, არა მარტო ჩვენი სამხრეთის მეზობლები, არამედ ზოგი დიდი სახელმწიფოც, რა თქმა უნდა, წინასწარ ჰგულისხმობს, თუ ოსმალეთთან ფორმალურ კავშირს არა, მეგობრობისა და ნდობის ისეთ დამოკიდებულებას მაინც ამ ქვეყნების შორის, როცა ტერიტორიებისათვის დავას მათ შორის ადგილი ალარ უნდა ჰქონდეს.

ჩვენი მიზანია, რათა ამ მომავალი მეგობრობის და თანამშრომლობის პირობები შევქმნათ.

აქედანვეა ჩვენი სურვილი, რათა ეხლავე რადიკალურად მოვიცილოთ ყველა ის საბაბი რომელიც შეხლა - შემოხლას და გაუგებრობას გამოიწვევდა. აქედანვე გამომდინარეობს აგრეთვე ჩვენი მისწრაფებაც, რათა კავკასიის მომავალ ეროვნულ საზღვრების საკითხს მეტი შუქი მოეფინოს და შემზადებულ იქმნას უმტკივნეულო და ჩვენი ერების უზენაესი ინტერესების შესატყვისი მისი გადაჭრა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საქართველოს, აზერბეიჯანის და სამხრეთის სამზღვრების საკითხში ოსმალეთსა და ირანის მიმართულებით, ყველაფერი რიგზედ არ არის.

ამ საკითხის დადუმება, როგორც ჩვენი ემიგრაცია აქამდის სჩადიოდა, უკვე სახიფათო ხდება.

კავკასიის, ოსმალეთის და ირანის საზღვართა საკითხი ფრიად სცილდება ორ სახელმწიფოთა შორის სამზღვრების გამო ჩვეულებრივ დავას. კავკასიის პოლიტიკური სინამდვილის განსაკუთრებულ პირობებში, ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება ამ საკითხის გადაჭრისადმი, კავკასიელ პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრებსა და მათ ფარულ პოლიტიკურ ზრახვებს ლაკმუსის ფარატინასავით ამჟღავნებს.

კავკასიის ერები პრაქტიკულ შესაძლებლობას არიან მოკლებული, რომ ოსმალეთისა და ირანის მიმართ წარდგენილი მოთხოვნილებანი საკუთარის ძალებით დაიცვან.

გარეშე — ევროპიულ ძალთა იმედი, იმ დროს როცა დარდანელის გასალები ოსმალეთს აბარია, ფრიად პრობლემატიურია.

ერთად ერთი „მოკავშირე“, თუ კი ისტორიულ პრეცედენტებს გავყვებით, „ვოლენს - ნოლენს“, კავკასიამ ჩრდილოეთში უნდა ეძებოს. ვამბობთ „კავკასია“ო, თუმცა დიდათ სწორი არც ეს არის, რადგან სრულიად აშკარაა, რომ არც აზერბეიჯანი და არც ჩრდილო კავკასია ასეთ ძიებაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

■

ჩვენმა მიმართულებამ თავისი შეხედულება ამ საკამათო საკითხზედ ზედ მიწევნილი აშკარაობით გამოსთქვა. საკითხის ჩვენებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ დასმაში მიხვეულ - მოხვეული არაფერია. ჩვენ გამოვდივართ დღეს არსებული საზღვრების ანგარიშიდგან. (ცილისწამების მოყვარულებს გზა და გზა შევნიშნავთ, რომ ბათუმი კავკასიის საზღვრებში იმყოფება.)

ამას გვაიძულებს მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებანი. ასეთ ხერხში ჩვენი საქმის გამარჯვების გარანტიას ვხედავთ.

ჩვენა ვფიქრობთ, რომ ტერიტორიალური საკითხების გადაჭრის დროს ისტორიული მოგონებებით გატაცება ხანდახან დამღუპვლია. თანაც ასეთი რამ მუდამ ორ ბოლოიანი ჯოხია, ზ. ავალიშვილმა ფრიად მახვილად სთქვა, რომ ისტორიული მოგონებანი შესაძლებელია კონტრაგენტსაც აღმოაჩნდესო. გამოცდილებაც იმას გვასწავლის, რომ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის დროს, ისტორიულ საბუთებს მხოლოდ შედარებითი ფასი აქვთ. არქეოლოგიური ძიებანი ხშირად დიდ ინტერეს წარმოადგენენ, მაგრამ მათი სუსტი მხარე ის არის, რომ ფანტაზიას მოკლებულმა სახელმწიფო კაცებმა, შესაძლებელია ყოველივე თავაზიანობის გარეშე მოგვაგონონ, რომ არქეოლოგიურ ნაპოვნების ადგილი მუზეუმების შუშებშია და არა რეალურ პოლიტიკოსების დიპლომატიურ არსენალში.

ჩვენ სავსებით გვესმის, რომ ყოველი უარი ეროვნულ ტერიტორიის ნაწილზედ ბუნებურად ეროვნულ ტკივილის გრძნობას იწვევს, მაგრამ არ არსებობს ისტორიაში ერი, რომელსაც თავის ისტორიის გზაზე ეს ტანჯვა არ განეცადოს.

ჩვენი მოწოდება თვითშეზღუდვისა და მსხვერპლისათვის, ერის უმაღლეს ინტერესებისათვის და ჩვენი ძირითადი მიზნის გასამარჯვებლად —რათა კავკასია რუსული ოკუპაციისაგან განთავისუფლდეს და შეიქმნას დამოუკიდებელ კავკასიის სახელმწიფო — მხოლოდ ერთი რომელიმე ერისადმი არ არის მიმართული. ამ მოწოდებით ჩვენ ყველას მივმართავთ.

კერძოდ, ამ სტრიქონების დამწერს ხშირად უხდება მოისმინოს ფრიად მწარე საყვედურები თავის თანამემამულეთაგან, რომლებიც 1864, 1877 და შემდგომი წლების ემიგრანტთა ჩამომავალი არიან. ისინი მუდამ სიმწარით და ხანაც დაუმალავი გულისწყრომით ბრალსა სდებენ მას, რომ იგი ხელს იღებს „წმინდა მიწაზედ, რომელშიაც მათ წინაპართა ძვლები განისვენებენ“ო.

ეს მწარ - მოსაგონებელი ისტორია არც ისე დიდი ხნის ამბავია. ამისი ზოგი მოწმე ჯერაც ცოცხალია.

ჩერქეზთა მოსახლეობის სამზღვარი, როგორც ცნობილია, მანიჩსა და კუმას უწევდნენ. წარსული საუკუნის ჯერ კიდევ ორმოცდა ათიან წლებში, ჩრდილო კავკასიის შავი ზღვის პირი, ყუბანის ოლქი და სტავროპოლის ოლქის დიდი ნაწილი ჩვენ თანამემამულეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან იყო უხვად დასახლებული. ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო იქნებოდა მათი იქ დაბრუნება. მაგრამ ჩვენი პრეტენზიები ამ მიწებზედ, სადაც, ჩვენი მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დარჩა, დღეს მინიმუმზედ არის დაყვანილი.

და ჩვენ ვერცა ვხედავთ საშვალებას, რომ ჩვენ მეზობელ ყუბანელ ყაზახებთან სხვანაირათ მოვრიგდეთ, თუ არა მეგობრულად. ასეთი მორიგების ცდა თავის დროზედ (1919წ.) ჩრდილო კავკასიის დელეგაციის და ყუბანის დელეგაციის მეოხებით პარიზში კეთილად დამთავრდა. დენიკინის ჯარების საქმეში ჩარევამ ხელი შეუშალა, რომ შეთანხმება პრაკტიკულადაც განხორციელებულიყო. მაგრამ ხელშეკრულება ყუბანელ პატრიოტის ქველი კულაბუხოვის სისხლით ნაკურთხი, ჩვენს გულში სცოცხლობს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ერები, ახალ პირობებშიაც დაუბრუნდებიან მას.

არა ნაკლებ მძიმე მსხვერპლს მოვითხოვთ ჩვენ, ვიდრე ჩრდილო კავკასიელებისაგან, სომხებისაგანაც. ჩვენ ხშირად და დაწვრილებით გვიწერია სომეხ - ოსმალთა დამოკიდებულებაზედ და იმ ადგილზედ რომელიც სომხებს კავკასიის კონფედერაციაში ეკუთვნით. არ გვინდა რომ ამ თემაზედ დღესაც შევჩერდეთ.

აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ქართველი მენშევიკები და მათგან ჩაგონებული ქართული ეროვნული პრესის ერთი მაწილი, რომელიც დღეს ღვარძლით გვიტევს ჩვენ და ბრალსა სდებს ჩვენ ქართველ ამხანაგებს, რომ ისინი მათ მიერ წამოყენებულ „1914 წლის საზღვრებს“ არ იცავენ, არაფერს არ ამბობენ საკითხის ამნაირათ დაყენების წინააღმდეგ, როცა სიტყვა სომხებს ეხებოდა... აურ - ზაური ართვინისა და არდაგანის საკითხმა გამოიწვია.

საკვირველია, სხვათა შორის, 1914 წლის სამზღვრების ეს მოთხოვნილება. ყარსი, არდაგანი და ბათუმი, ოდესლაც რუსის ჯარის მიერ ოსმალეთისაგენ უკან წამოღებული, რუსეთის იმპერიის საზღვრები იყო. არც ეროვნულ საქართველოს, არც სომხეთს არასოდეს სამზღვრების ასეთი მოხაზულობა არა ჰქონდათ*).. რატომ შეიყვარა მენშევიკურმა პატრიოტიზმა სწორედ ეს ხაზი, მეტად ძნელი გასაგებია...

დასასრულ ჩვენ მივმართავთ აგრეთვე აზერბეიჯანულ პოლიტიკურ აზრსაც და მოვითხოვთ მისგან, რათა გადაჭრით გამოემიჯნონ იმ თავშეუკავებელ ფანტაზიის მეგალომანებს, რომლებიც თავიანთი ფანტასტური მისწრაფებებით ისე იოლად ხტებოდნენ არაქ-

*) ისტორიულ საქართველოს სამზღვრები უფრო ფართე იყო. 1914 წლის სამზღვრები მთელ ისტორიულ საქართველოს არ შეიკავდა.

„კავკასია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის იქით და თავიანთ გაუმაძღარ მადას თავრიზზედ და თავრიზის იქითაც ავრცელებდნენ.

ეს არის სწორედ ის შემთხვევა, როცა, თუკი ირანი თავის ისტორიულ მოგონებებს მიჰყოფდა ხელს, არც აზერბეიჯანს და არც მთელ კავკასიას კეთილი არ დაეყრებოდა.

წითელი ულლისაგან განთავისუფლებულმა კავკასიის ერებმა, თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების განთიადზედ, ლოიალობის ყველა წარმოსადგენი გარანტიები უნდა მისცენ მეგობრულ და ნათესავ ირანის ნაციას.

მხოლოდ ასეთი შემოფადგლული საზღვრებით და მხოლოდ ასეთი შეზღუდული პრეტენზიებით შეგვიძლიან, სულ ქვეშ რომ ვსთქვათ, ჩვენც მოვითხოვოთ ჩვენი სამხრეთი მეზობლებისაგან, რომ პატივისცემა ჩვენი მიჯნისადმი მათაცა ჰქონდეთ.

თუ კი ცოტა პოლიტიკურ ობიექტივობას გამოვიჩენთ, ყველა დაინახავს, რომ იმ მოთხოვნილებაში, რომელიც კავკასიის ერებმა თავის თავს უნდა წაუყენონ, თავის სასიკეთოოთ და თავის ქვეყნის განსათავისუფლებლად — არაფერი ექსტრაორდინალური არ არის.

თვალ წინა გვაქვს განსაცვიფრებელი მაგალითი, რომელსაც მხოლოდ უნდა მივსდიოთ.

განა ათათურქის ოსმალეთი თვით არ გვაძლევს ასეთი თვითშეზღუდვის მაგალითს, როცა დღითი დღე ადასტურებს თავის გადაჭრილ და საბოლოო უარს იმ მდიდარ და თვალუწვდენ ტერიტორიებზედ, რომლებიც გუშინ ოტომანთა იმპერიის ნაწილებს შეადგენდნენ.

განა თანამედროვე ოსმალეთის გენიალური შემქმნელის ასეთი ბრძნული პოლიტიკა არ უდევს საჩუქულად ოსმალეთის იმ ზღაპრულ განახლებას, რომელსაც პირველადა აქვს ადგილი სინამდვილეში უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში?

განა ამის წყალობით არ დასრულდა ისტორიული დავა ირანსა და თურანის შორის და შესაძლებელი გახდა, რომ საადაბატის პაქტზე ხელი მოეწერათ ოსმალეთს, ირანს, ერაყს და ავღანისტანს?

■

კავკასიის ერებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ, თუ რა ხდება ჩვენს პლანეტაზედ.

კაცობრიობა ახალ ხანაში შედის. მსოფლიო ისტორიის ღერძი ხმელთაშუა ზღვიდგან წყნარ ოკეანესკენ მიემართება. ამ ღერძზედ მცხოვრები ახლო აღმოსავლეთის და აზიის ერიბი პოლიტიკურ ზომლში იკრიბებიან. მათი ძლიერება დღითი დღე გაიზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა ჩვენ თუ არ გვინდა, აღმოსავლეთ ევროპის რუქის გადასინჯვის საქმეში, კავკასიამ თავისი როლი უნდა ითამაშოს.

ჩვენი მოვალეობაა, რომ წინა აზიის აღორძინებულ ერების აქტიურ პოლიტიკაში, რომლებთანაც ჩვენ საუკუნოვანი ისტორიული ტრადიცია გვაკავშირებს, ჩვენი ადგილი მოვძებნოთ.

საკითხი პირდაპირა გვაქვს დაყენებული: ან კავკასია თავის სამხრეთ მეზობელთან საერთო ენას გამოსძებნის და მეგობარ დიდ სახელმწიფოთა დახმარებით თავის წარსულის შესაფერ ადგილს მოიპოვებს მზის ქვეშე, ან ადრე თუ გვიან მას სლავიანური სტიქიონი წალეკავს. ისინი ვინც კავკასიის ერებს ოსმალეთთან და ირანთან შეურიგებლობაზედ აქეზებენ, ერთნი შეგნებულად, მეორენი —შუგნებლად, კავკასიის ერების მხოლოდ რუსეთში დაბრუნებას ამზადებენ — ტერციუმ ნონ დატურ.

ჰაიდარ ბამმატ

მთავარ - სარდალის კვინიტაძის პასუხი ჟორდანიას მთავრობას

ქვემოთ ჩვენი მკითხველები წაიკითხავენ გენერალ გ. კვინიტაძის წერილს, რომლის შინაარსი,საქმეში ჩაუხედველ ქართველ ადამიანს, ბევრ რამეს ეტყვის და თვალს აუხელს.

ეს ერთი ხანია, მენშევიკური პრესა ცილისწამებას ავრცელებს ჩვენი ჟურნალის და მისი თანამშრომლების შესახებ, რომ თითქოს ჩვენ საქართველოს ტერიტორიის ნაწილებს ვიღაცას ვუთმობთ. ვისთვის არის საჭირო ასეთი უმსგავსი ცილისწამება? რა თქმა უნდა მათთვის, ვინც ეს საქმე მართლა ჩაიდინა და ვისაცა სურს, რომ ასეთი დანაშაულის პასუხისმგებლობა, დროებით მაინც, ვიდრე ნამდვილი გამოირკვევა, სხვას მოახვიოს თავზედ. ყველაზედ მეტად ასეთი რამ ჟორდანიას მთავრობას ესაჭიროება. იგივე მთავრობა არის, რომელიც ცილისწამების ამ იერიშებს სათავეში უდგას, თუმცა თითონ არა სჩანს და საკუთარი პარტიის და სხვა გაბრიყვებული ხალხის საშუალებით მოქმედობს. ყველამ იცის ჩვენი პასუხი ამ ცილისწამების გამო. მაგრამ ჟორდანიას მთავრობას აღარ შეეძლო გენერალ გ. კვინიტაძის პასუხის დადუმება (იხ. „კავკასია“ №7) და „დამოუკიდებელ საქართველოში“ (იხ. №141) თავისი არაფრის მთქმელი „საჭირო განმარტება“ გამოაქვეყნა.

ჩვენი მთავარ - სარდალის წინამდებარე წერილი ამ „განმარტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის“ პასუხია. იქ მოთხრობილია ჩვენი ეროვნული კატასტროფის უკანასკნელი დრამატიული მომენტის ამბავი, როგორ დაასრულა ჟორდანიას მთავრობამ თავისი დღენი, როგორ ჩააბარა მან საქართველოს ერთი ნაწილი ოსმალეთს და მეორე ნაწილი, სამტრედიის ხელშეკრულებით — ბოლშევიკებს, როგორ სურდა ქართული ჯარის დემობილიზაციის მოხდენა, როგორ აიღო თავის თავზედ ხელი და როგორ უშველა საკუთარ თავს უცხოეთში გაქცევით. გადარჩა მთავრობა, დაიღუპა საქართველო!

გენერალ გ. კვინიტაძის წერილი დიდის სიმართლით და ეპიკური კილოთი დაწერილი, როგორც შეეფერება მხედრის წერილს, დიდი ქართული ისტორიული დოკუმენტია. ყოველ შემთხვევაში, ჟორდანიას მთავრობისათვის იგი დიდი საბაბია, რომ ეხლა მაინც გამოაქვეყნოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენი ეროვნული კატასტროფის ამ უკანასკნელ წუთებს ეხება და ქართულ ემიგრაციას თვალს არ უხვევდეს, რაღაცა საგაზეთო წერილებზედ მითითებით, რომლებსაც ჟორდანიას მთავრობა, უკვე სამშვიდობოზედ გასული, კონსტანტინეპოლში სთხზავდა და „ევროპის საზოგადოებრივი აზრის“ გასაგონად, აქეთ იქით გზავნიდა.

ჟურნალ „კავკასიის“ რედაქცია.

მთავრობის „საჭირო განმარტების“ გამო

მე მეგონა, რომ ბრალდებამ, ან უკეთ რომ ითქვას ცილისწამებამ, რომელსაც ჟურნალ „კავკაზს“, „კავკასიას“ და მის თანამშრომლებს უდგენენ, ვითომც ისინი არა მარტო ყარსს, არტაანს და ართვინს, არამედ ბათუმსაც ოსმალეთს აძლევენ, საბოლოო პასუხი მიიღო ჟურნალ „კავკასიის“ მე-7-დე ნომერში. იქავე საკმაო აშკარაობით იყო აღნიშნული, დღეს ყველაზედ მეტ აღშფოთებას(?) ამის გამო სწორედ ის პირნი აცხადებენ, ვინც ხელი მოაწერეს არა მარტო ბათუმის, ყარსის და არტაანის არამედ ახალციხისა და ახალქალაქის გადაცემასაც.

მე მეგონა, რომ ამ საკითხის გამო კალამის ხელში აღება ალარ დამჭირდებოდა, მაგრამ ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ დაბეჭდილი ნოე ჟორდანიას მთავრობის „საჭირო განმარტება“ მაიძულებს რომ ერთხელ კიდევ, და მინდა ვიფიქრო უკანასკნელად, გამოვსთქვა ამ საკითხის გამო ჩემი შეხედულება.

აღსანიშნავია რომ თავის „განმარტებაში“ მთავრობას მოჰყავს გერმანულ ჟურნალის „კავკაზუსის“ წერილის ერთი ტექსტი და გესლიანად უმატებს, თითქოს ამ წერილის დანართი არავისაგან არ იყოს ხელმოწერილი და შეუძლებელია რომ ისიც ჩემ მიერ იყოს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟურნალ „კავკასიის“ მეშვიდე ნომერში დაბეჭდილ ჩემს წერილში ვსთქვი, მთავრობისთვისაც თურმე ცხადი გამხდარა, რომ თუ ეს დანართი ჩემ მიერ არ არის დაწერილი,ჩემ მიერ გაზიარებული მაინც არის.

ამ დანართში „გასაზიარებელი“ არაფერია; იქ მოყვანილია ცნობა, საიდგანაც სჩანს, რომ ბათუმი იყო დაჭერილი ოსმალეთის ჯარების მიერ ჩვენი მთავრობის თანხმობით და რომ კიაზიმ-ბეის პროკლამაცია ჩვენი მთავრობისათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო

მთელი ეს წინასწარი მუსაიფი საჭირო არ იყო, რადგან ჩემი წერილის დედანი დიდი ხანია რაც დაიბეჭდა და დაიბეჭდა მთავრობისათვის უფრო სახელდახელო რუსულ ენაზედ, ჟურნალ „კავკაზში“, 1936 წლის ივნის-ივლისის ნომერში, სადაც ნათლადა სჩანს, რომ შენიშვნა, რომელსაც დღეს მთავრობის „განმარტება“ ახსენებს რედაქციას ეკუთვნის, ასე რომ მთავრობის „განმარტება“ მას, სულ ცოტა, წელიწად ნახევრის შემდეგ იგონებს, აშკარა და აღსანიშნავი ამბავია. ვიტყვი მხოლოდ, რომ მთავრობის ოფიციალურ „განმარტებაში“ ასეთი უყურადღებობის დაშვება, უადგილო და არა სერიოზულია.

ეხლა საკითხის არსებაზედ.

მთავრობა თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ 1921 წლის 23 თებერვალს მას მიუღია ოსმალებისაგან ულტიმატუმი, რომელშიაც ისინი მოითხოვდნენ ჯარებისაგან არტაანის და ართვინის დაცლას და რომ მთავრობა იძულებული იყო ამ რაიონებიდან ჩვენი ჯარები გამოეყვანა, რადგან წინააღმდეგობის გაწევის თავი მას არა ჰქონდა.

1921 წლის 23 თებერვალს ამ ადგილებში არავითარი ჩვენი ჯარი არა ყოფილა და მაშასადამე ვერავითარ ჯარებს მთავრობა იქიდგან ვერ გამოიყვანდა. საჭიროა რომ მთავრობამ ეს ულტიმატუმი გამოაქვეყნოს.

ბ. ი. გვარამაძე, არდაგანის ოლქის მაშინდელი უმფროსი, ამტკიცებს, რომ მან მიიღო ბრძანება რათა ოლქი ოსმალებისთვის **ჩაებარებინა** და არა დაეცალა. ეს ერთი და იგივე არ არის. ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ულტიმატუმი მიღებულ იქმნა. მაგრამ საჭირო იყო, რომ ულტიმატუმი მიღებული არა ყოფილიყო და მაშინ არც ოსმალეთის ჯარს მიეცემოდა უფლება, რომ ბათუმში შემოსულიყო.

მაგრამ ცხადია, რომ თუ კი ოსმალები არტაანს, ართვინს და ბათუმს ძალით დაიჭერდნენ და არა ჩვენი მთავრობის თანხმობით, ისინი გადაუჭრიდნენ გზას ამ მთავრობას, რომელიც... ევროპისაკენ იხევდა. აღვნიშნავ, რომ ოსმალების მიერ ამ ულტიმატუმის წამოყე-

ნების ამბავს, მე, საქართველოს ჯარების მაშინდელი მთავარ -სარდალი ვტყობილობ მხოლოდ მთავრობის ამ „განმარტებიდან", მხოლოდ აქ, პარიზში, 1938 წელს!

პირიქით, ტფილისთან ბრძოლების დროს, ნოე ჟორდანიას მთავრობა, ყოველ დღე მარწმუნებდა მე, რომ „დღეს სალამოს" თუ არა „ხვალ დილას",ოსმალები ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვლენო და მთავარ სარდალს ოსმალების ასეთი დახმარებით აიმედებდა.

უცნაურია, როგორ მოხდა, რომ ასეთი არა კეთილმეგობრული აქტის შემდეგ, როგორიც იყო ულტიმატუმი —არტაანისა და ართვინის გადაცემის შესახებ, ადგილი ჰქონდა არამც თუ ბათუმში ოსმალოს ჯარების შესვლის ნების დართვას, არამედ ოსმალეთის წარმომადგენლის ყოფნას ჩვენი მთავრობის წინაშე?

როგორლაც საქმე ასე არ არის და ძალლის კუდი სხვაგან მარხია!

ბათუმში ოსმალოს ჯარების შესვლის ამბავიც მთავარ სარდლისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

მე ჩავედი ბათუმში 12 მარტს, რათა ჩვენ უკანასკნელ ბჭეში თავ-დაცვის საქმე მომეწყო. მატარებლით ქალაქზედ ჩავლის დროს, ფანჯრიდან დავინახე, რომ ქალაქში ოსმალოს პატრულები დადიოდნენ. აზიზიეს მოედანზედ მისულმა, მე მაშინვე ვკითხე ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს, თუ რას ნიშნავდა ეს ამბავი. იგივე პასუხი გავიგონე, რაც ტფილისში მესმოდა: ოსმალები ჩვენი მეგობრები არიანო; ეტყობა არტაანის და ართვინის შესახებ ულტიმატუმს არავითარი შთაბეჭდილება არ მოეხდინა. აქავე უნდა ითქვას, რომ ხულოც ასევე იყო დაჭერილი ოსმალების მიერ და მათი ნაწილები ახალციხის დასაჭერად მიდიოდნენ. მათ დაიჭირეს ახალციხე თუ ბოლშევიკებმა დაასწრეს ამაში, დღეს აღარ მახსოვს. მთავარია, რომ ჩვენს ტერიტორიაზედ ოსმალები არხეინად დასეირნობდნენ.

იმავე ბათუმში მთავრობის თავმჯდომარემ მთხოვა, რომ ოსმალოს ჯარის წინააღმდეგ არავითარი უდიერი ზომა არ მიმეღო. ჩვენი სახელის დასაცავად, თუნდა ადგილობრივი მოსახლეობის თვალში, მე მაინც საჭიროდ მივიჩნიე, რომ ოსმალოს პატრულებს, რამდენიმე ნაბიჯით უკან, ჩვენი პატრულებიც ამეყოლებინა.

მარტის 14 — 15 რიცხვებში, ჩვენმა მთავრობამ, როგორც ეტყობა, ბოლშევიკებთან ბრძოლაზედ ხელის აღება გადასწყვიტა. ვამბობ — როგორც ეტყობა, რადგან მთავრობამ მთხოვა რომ გრ. ლორთქიფანიძის განკარგულებაში, რომელიც ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად სამტრედიაში იგზავნებოდა, ერთი გენერალი დამენიშნა. მე დავნიშნე გენერალი იოსებ გედევანიშვილი. ეჭვი არ უნდა, რომ სამტრედიაში რალაც ხელშეკრულება იყო დადებული, რომელ-

საც გრ. ლორთქიფანიძემ ხელი მოაწერა.*) ჩვენთვის, რომლებიც ჩაბმულები ვართ უკანასკნელ პოლემიკაში, ამ ხელშეკრულების ტექსტის და დოკუმენტების გამოქვეყნებას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე იმ მოწოდების გამოქვეყნებას, რომლითაც ჩვენმა მთავრობამ 1921 წლის 27 მარტს, კოსტანტინეპოლიდგან ევროპის **საზოგადოებრივ აზრს** მიმართა და რომელზედაც ნოე ჟორდანიას მთავრობა ისე გვითითებს თავის განმარტებაში, როგორც რაღაც განსაკუთრებულ დოკუმენტზედ.

ბოლშევიკებთან დადებული ხელშეკრულების ტექსტის გამოქვეყნება ბევრს რამეს მოჰფენდა ნათელს და აგვიხსნიდა, როგორც ბოლშევიკების ეშელონის გაჩენას ბათუმში, ისე ბოლშევიკურ პოლიტრუკის ჩამოსვლას ბათუმშივე 17 მარტს საღამოს.

რაკი მთავრობა ემიგრანტულ ჟურნალების პოლემიკაში ჩაერია, იგი მოვალეა ეს დოკუმენტიც გამოაქვეყნოს, მით უმეტეს, რომ მთავრობა თავის განმარტებაში მისაყვედურებს, რომ მე ვწერ მხოლოდ მოგონებების და არა ისტორიულ დოკუმენტების მიხედვით.

მე მოვითხოვდი მთავრობისაგან, რომ არქივში ჩამახედონ; დარწმუნებული ვარ რომ ასეთ ნებართვას ვერ მივიღებ. საყურადღებო იქნებოდა აგრეთვე, ჩვენი რწმუნებულის ს. მდივნის მოლაპარაკების შინაარსის გაცნობა ოსმალეთის მთავრობასთან ანგორაში.

ისეთი ფაქტები, როგორიც არიან გრ. ლორთქიფანიძის და გენ. გედევანიშვილის სამტრედიაში წასვლა, ჩვენი ჯარების მიერ ბოლშევიკურ ეშელონის გამოშვება რიონის ხიდზედ — საჯევახოსთან, ბოლშევიკური პოლიტრუკის ჩამოსვლა ბათუმში, ოსმალეთის ჯარები ბათუმში და ხულოში და სხვა და სხვა, არავითარ დოკუმენტებს არა საჭიროებენ, რადგან ჩვენ ყველა ამ ამბების ცოცხალი მოწმენი ვართ.

მაგრამ მთავრობის მტკიცება, რომ 17 მარტის ოსმალეთის ნოტის საპასუხოთ, რომელიც ბათუმის გადაცემას მოითხოვდა, მთავრობამ ბრძანება გასცა ჩვენს ჯარში, რათა მას ბათუმი ოსმალებისაგან გაეწმინდა, უეჭველად ოსმალეთის ამ ნოტის და ქართული ჯარში გაგზავნილი ბრძანების ტექსტების გამოქვეყნებას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ თავის მოწოდებას ევროპის საზოგადოებრივი აზრის მიმართ, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, მთავრობა ტექსტუალურად ბეჭდავს.

---

*) ასეთი ხელშეკრულება ბოლშევიკების და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის გრ. ლორთქიფანიძის მიერ ხელმოწერილი სამტრედიაში, მართლაც არსებობს, რომლის ტექსტი იმავე დღეებში ტფილისის გაზეთებშიც გამოქვეყნდა. **რედაქცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა აგრეთვე ვიცოდეთ, ვის გადაეგზავნა ბრძანება, ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ? **მე ასეთი ბრძანება არ მიმილია.** შექმნილი ვითარების გამო, ეს ბრძანება ვერ გაიცემოდა და, რაც მთავარია, ჯარების მიერ ვერც ასრულდებოდა, რადგან ისინი მთავრობას აღარ ემორჩილებოდნენ, ვინაიდგან 17 მარტის საღამოს ათ საათზედ იტალიურ გემ „კარალი"ზედ გადასვლის ფაქტით ამ მთავრობამ თავის მართებლობის პრეროგატივებზედ უარი განაცხადა. მთავრობამ გასცა სხვა ბრძანება, პირდაპირ გაუგონარი, მაგრამ ამაზედ სიტყვას შემდეგ ვიტყვი.

ნამდვილი ისტორია კი ასეთია:

16მარტს, საღამოს 8—9 საათზედ, ბათუმის გენერალ - გუბერნატორი გრ. გიორგაძე მთავრობის ვაგონში გამოცხადდა, როცა მეც იქ ვიყავი და ფრიად შეძრწუნებულმა განაცხადა, რომ სტამბაში იბეჭდება ჩვენი მთავრობის წინაშე მყოფ ოსმალეთის რწმუნებულის კიაზიმ-ბეის მოწოდება — დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბათუმი ოსმალეთთან შეერთებულად ცხადდება, ქართული ჯარი უნდა განიარაღდეს და სხვა. გრ. გიორგაძემ დაუმატა, რომ უკვე ხვალ, 17 მარტს, ეს დადგენილება ბათუმის ქუჩებზედ იქნებოდა გამოკრული. მან არ იცოდა რა ექნა (ესეც აღსანიშნავია) და თავდარი გის მიცემას თხოულობდა. მთავრობამ არ იცოდა რა გაეკეთებინა. მე ჩავერიე და უთხარი გიორგაძეს, რომ დაუყონებლივ სტამბაში მიღიკოსერები გაეგზავნა და დაეპატიმრებინა, როგორც გაბოცემა ისე სტამბის პერსონალი. ასეც მოხდა.

17 მარტს, დილით, გარეშე საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის ვაგონში გამოცხადდა ოსმალოს ოფიცერი, კიაზიმ - ბეისგან გამოგზავნილი და რაღაც ქაღალდი ჩააბარა. მე დავესწარი. ე. გეგეჭკორმა ქაღალდი ჩამოართვა, მარდათ ჩაათვალიერა, დაუბრუნდა ოფიცერს და უთხრა, რომ ასეთ ნოტას ის ვერ მიიღებდა.

ოფიცერი გავიდა, მაგრამ წასვლისას ქაღალდი კარების ქვეიდან შემოაგდო. ეს ქაღალდი მე არ წამიკითხავს; საყურადღებოა მისი ტექსტის გამოქვეყნებაც, მით უმეტეს, რომ ეხლა მას მხოლოდ არხივული მნიშვნელობა თუ აქვს, ჩვენი დავა — პოლემიკის გასაშუქებლად კი ფრიად საყურადღებო იქნებოდა.

ახლა გადავიდეთ ამ შესანიშნავ ბრძანებაზედ,რომლის ძალით ქართულ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედება უნდა დაეწყო.

როგორც მთავრობა აცხადებს, ზემოხსენებული ოსმალური ნოტა ჩაბარდა მას 17 მარტს, რასაც მთავრობამ იმით უპასუხა, რომ ჯარს ოსმალებზედ შეტევა უბრძანა. საღამოს 10 საათზედ მთავრობა გემ „კირალი"ში ჩაჯდა. მაშასადამე ეს ბრძანება შეიძლებოდა გაცემული ყოფილიყო მხოლოდ 17 მარტს.

მდგომარეობა ბათუმში ასეთი იყო: ამ დღეს და ამ დღის წინაც ჩემთან უკვე მოდიოდნენ როგორც ცალკე ოფიცრები, ისე მხედართა და პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმომადგენელნი, რომლებიც მთხოვდნენ თანხმობას, რომ მთავრობა დაეტუსაღებინათ. მე უპასუხე, რომ ამას არ ვიზავდი და რომ ასეთი რამის გულისათვის ჯერ ჩემ გვამზედ უნდა გადაევლოთ. მოვალეობისადმი ერთგულად დარჩენილ იუნკრებით მე მაინც მცველები გავაძლიერე და ვალიკო ჯუღელსა ვსთხოვე, რომ თავისი გვარდიელებით იგივე ექმნა.

ამ რიგად საფრთხეში იყო თვით მთავრობა სწორედ ამ ჯარების და ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეების მხრით. აქედან ნათელია, რომ მთავრობის ვერავითარ ბრძანებას, რომელსაც ყოველივე ავტორიტეტი ჰქონდა დაკარგული, ჯარი ასასრულებლად ვერ მიიღებდა.

17 მარტს, საღამოს,ხომ საპატიმროდაგნ განთავისუფლებული იყვნენ ს. ქავთარაძე და სხვა ბოლშევიკები, რომლებმაც „რევვოენსოვეტი“ შექმნეს და ამრიგად ახალი ხელისუფლება გაჩნდა.

თუმცა გემში ჩაჯდომა 18 მარტისათვის იყო დანიშნული, მაგრამ შეიქმნა ვითარება, ფრიად სახიფათო მთავრობისათვის, რის გამო გემზედ ასვლა დაჩქარდა და საღამოს ათ საათზედ, იმავე 17 მარტს, მთავრობის წევრები გემში ჩასხდნენ.

როგორცა ხედავთ გარემოება ისეთი არ იყო, რომ მთავრობას, ოსმალეთზედ შესატევად კიდევ ბრძანება ეძლია. ან არა და გემზედ ჩაჯდომაც არ იყო საჭირო. პირიქით, საჭირო იყო ნაპირზედ დარჩენა და ბრძოლის შედეგების ცდა. დასასრულ მოცდა თვით გემზედაც შეიძლებოდა. მაგრამ ჩვენ წამოვედით ბათუმიდგან 18 მარტის საღამოს, იმ დროს როცა, როგორც ცნობილია, ბრძოლა გათავდა მხოლოდ 19 მარტს. ვამტკიცებ, რომ არავითარი ბრძანება სამხედრო მოქმედების დასაწყებად, მთავრობას არ გაუცია.

სამხედრო მოქმედებანი სრულიად სტიქიურად დაიწყო. როგორც უკვე ვსთქვი, მე გადმოვიყვანე, მანამდის ნატანებში რეზერვად მდგარი, გენ. ართმელაძის დივიზია და მისი ნაწილების საშუალებით დავიჭირე კახაბერი, ანარია და ბათუმის ფორტები. სხვათა შორის, კახაბერზედ იდგა პ. ქარუმიძის ბატარეა, რომელსაც ზარბაზნები ბარცხანაზედ ჰქონდა მიღერილი, სადაც იმყოფებოდნენ ოსმალები. ჯარებში უკვე არა მეგობრული სულისკვეთება გამეფდა ოსმალების წინაალმდეგ.

17 მარტის საღამოს, დაახლოებით 7 საათზედ, თუ არა ვცდები, ოსმალოს ჯარებმა დაიჭირეს ფოსტის შენობა, რის დროსაც მოკლულ იქმნა ორი ქართველი ოფიცერი. ეს გარემოება ელვასავით მოედო ქართულ ჯარს და უკვე ღამით დაიწყო შეტევისათვის მზადება, ხოლო 18 მარტს ბრძოლაც გაჩაღდა. მე დავტოვე ნაპირი 18 მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტს დილის 3 -4 საათზედ და იმავე დილის 9 საათზედ ისევ ნაპირზედ დავბრუნდი. ბათუმში ბრძოლა უკვე გახურებული იყო. ბოლშევიკების ეშელონი მოადგა ბაბთუმს, მაგრამ ქალაქში არ შემოსულა და ლიანდაგზედ იცდიდა. ნაპირიდგან მე გავგზავნე ორი იუნკერი: თოხაძე და ნიკოლაძე, წერილობითი ბრძანებით, რომელშიაც ვთხოვდი უმფროსებს, რომ ჩემთვის ვითარება შეეტყობინებინათ. ჩემი მამაცი იუნკრები ციხის შტაბში გამოცხადდენ, სადაც გენ. მაზნიაშვილი დახვდათ, წითელის ბანტით, რომელმაც ბარათი წაიკითხა, მაგრამ არაფერი უპასუხა. იუნკრებმა მთელი ქალაქი გაიარეს და სადგურზედ მივიდნენ, სადაც ნახეს გენერალი ვარდენ წულუკიძე, რომლისაგანაც წერილობითი მოხსენება მომიტანეს. ამ წერილობითი მოხსენებიდანა სჩანს, რომ სამხედრო მოქმედებათა დაწყების ბრძანება ოსმალების წინააღმდეგ, ჯარებს არავითარი არ მიეღოთ.

17 მარტის საღამოს, ვაგონში შემოიყვანეს ის არის ახლად ჩამოსული წითელი არმიის პოლიტრუკი. შემოვიდა პატარა ტანის ჯარისკაცუნა, ზურგზედ კონსერვებით სავსე გუდა მოკიდებული, საკინძ გახსნილი ბაზრის კაცის იერით. მან შემატყობინა, რომ ომი გათავებულია და ხვალიდგანვე გაზეთის გამოცემას უნდა შეუდგეო. მე ის მთავრობის ვაგონში შევიყვანე. აქ ადგილი ჰქონდა ფრიად დამახასიათებელს და პიკანტობას არა მოკლებულ სცენას: „ამხანაგო გეგეჭკორო, — ამბობდა პოლიტრუკი— ჩვენ გავიგეთ, რომ მთავრობა მიდის. რისთვის? ჩვენ ცუდს არაფერს არ გიზავთ. ყველას გიცნობთ. თქვენცა და ჩვენც სოციალისტები ვართ. არც თქვენ და არც ჟორდანიას საფრთხე არ გელით. აი, მხოლოდ რამიშვილი წაეთრიოს თავისი საგანგებო რაზმით... თქვენ კი არხეინად იყავით.“ შემდეგ: „ვიცი, ეხლა თქვენ, ამხანაგო გეგეჭკორო, იტყვით, თუ რატომ დაგესხით ჩვენ სოციალისტურ საქართველოს. მაგრამ თქვენში ხომ გლეხებისა და მუშების აჯანყება იყო.“

ეს ლაპარაკი იმაზედ გათავდა, რომ პოლიტრუკი კუპეში დააწვინეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, საათის ათზედ მთავრობა წავიდა. ამ რიგად მთავრობამ უარი სთქვა ბოლშევიკებთან ბრძოლის გაგრძელებაზედ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი ჯარები საჯევახოში იდგნენ, დასდო ხელშეკრულება ბოლშევიკებთან სამტრედიაში, რომელსაც ხელი გრ. ლორთქიფანიძემ მოაწერა, სპეციალურად ამისთვის სამტრედიაში გაგზავნილმა და იცნო იგი, ვინაიდგან ბოლშევიკებმა ჩვენი თანხმობით გამოგზავნეს თავისი ჯარი ბათუმში, მის დასაჭერად. აღსანიშნავია პოლიტრუკის ჩამოსვლაც —გაზეთის გამოსაცემად. ამას უნდა დაუმატოთ, რომ დატუსაღებული ბოლშევიკებიც გამოშვებული იყვნენ სატუსაღოდგან და რაც უფრო შესანიშნავია, მე **მებრძანა** რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამეწყო, არამედ მომეხდინა **ჯარის დემობილიზაცია**, ეტყობა, სამტრედიის ხელშეკრულების ერთერთი მუხლის სისრულეში მოსაყვანად.

ეს განსაცვიფრებელი ბრძანება, სრულიად საწინააღმდეგო იმისა რასაც სამხედრო მოქმედების დაწყება ჰგულისხმობს, მთავრობის თავმჯდომარისაგან მე წერილობით მივიღე —17 მარტს. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა ისე აწუხებდა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ 18 მარტის დილას, დაახლოვებით 8 - 9 საათზედ, როდესაც მე გემ „კირალი"ზედ მივედი, მან მკითხა, შევასრულე თუ არა ბრძანება და როდესაც გაიგო, რომ ბრძანება შესრულებული არ იყო, შეწუხდა და მოითხოვა, რომ იგი დაუყონებლივ გადამეცა ჯარისათვის. ეტყობა მას მაშინაც ეგონა, რომ დემობილიზაციის ჩატარება ადვილია და არა ფრიად და ფრიად ძნელი საქმე.

ასე იყო თუ ისე, ჯარის დემობილიზაციის ბრძანება ჯარში გადაცემული არ იყო და გარემოებათა და ვითარების გამო წარმოუდგენელი, უდროვო და განუხორციელებელიც იყო, რადგან ბათუმში ბრძოლა სწარმოებდა. მთავრობის თავმჯდომარის ეს ჯიუტობა, რომ დემობილიზაცია უსათუოდ მომხდარიყო — სიმპტომატიურია.

მთავრობა, რომელმაც გამარჯვებული მხარის პირობანი მიიღო, თავის ტერიტორიაზედ უნდა რჩებოდეს. მას შეუძლიან დასტოვოს მტრისაგან დაპყრობილი ტერიტორია თუ კი ის ზავზედ უარს იტყვის.

მაგრამ შეკრა რა მან სამტრედიაში ზავი და მიიღო რა იგი ალსასრულებლად, მან მაინც დასტოვა ტერიტორია, ე.ი. უარი სთქვა ყველა თავის პრეროგატივებზედ და იმაზედაც კი რაც, ალბათ სამტრედიის ხელშეკრულებაშიც იქნებოდა ალნიშნული.

გენ. გ. კვინიტაძე

ნოე ჟორდანიას მორიგი ვერაგობა

ვისაც სურს საზოგადოებრივი ბოროტების მოსპობა, საზოგადოებრივი ბოროტების გაქარწყლება, მან აუცილებლათ ამ ბოროტებას სათავე უნდა მოუძებნოს, სიბინძურის ნაკადს დასაწყისი მოუჩხრიკოს და ეს სიმყრალის ორმო მიწით უნდა ამოავსოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სივაგლახის დენა შეუჩერებელ - შეუწყვეტელი იქნება საზოგადოების და ხალხის მოსაწამლად.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით წარსული წლის 4 დეკემბერს პარიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში „მუზე სოსიალ“ის დარბაზში მოწყობილი ყრილობა და იქ ხელით საგოგმანებელი დადგენილების გამოტანა ვისი სურვილის დამაკმაყოფილებელი და გულის მომაოხებელი ნაბიჯი იყო. კარგათ ვიცით საიდან მომდინარეობს ამ ბოროტების სათავე, ვინ არის ამის ინიციატორი და დამწყები. ეს გახლავთ ნაქებ - ნადიდები ნოე ყორდანია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში აპოკალიფსის ცხოველივით პირიდან ცეცხლსა და ნაცარ ტუტას აფრქვევს ჩვენი ერის სათვალჩინო მოღვაწეთა დასაბუგათ. აბა ერთი თვალი გადაჰკარით მთელ მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას, თუ თვალში არ გამოგესკვნათ მისი ვერაგული და უდიერი მოპყრობა ჩვენი სახელოვანი მოღვაწეებისადმი. როგორც კი გამოჩნდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე — თავმომწონე ფალავანმა ხან ერთი მოღვაწე გაიგდო ფეხ ქვეშ, ხან მეორე, ხან ერთი აბურთავა, ხან მეორე და მუდმივ ასე გაჰქონდა გამარჯვებულს ლელო. რა გინდათ რომ მას არ დაეწამებინოს სახელოვან ადამიანებისათვის, რა ხარისხითა და „ტიტლოებით“ ისინი არ დაეჯილდოებინოს. ამ მხრივ მისი გონებრივი სალარო ერთობ მდიდარია სალანძღავ- საგინებელი სიტყვა - ეპიტეტებით. ამით დაიწყო თავისი სახელოვანი საზოგადოებრივი „მოღვაწეობა“ და ამითვე სურს გაათავოს იგი.

როგორც მოგეხსენებათ, ნოე ჟორდანია — თავისებური ფარ ხმალით შეიარაღებული — უპირველეს ყოვლისა ჩვენი ერის უდიდეს მოამაგეს, ქართველი ერის განმანათლებელს, ერის შემქმნელსა და გამკვიდრებელს დიდ ილიას დაეტაკა. რა ხერხითა და ოინებით, რა უტიფრობით იწყო ამ დიდი ადამიანის ქართველი ხალხის წინაშე გაწბილება - გაბათილება. ვითომდა ქართველი ხალხის მიერ უფლება მოსილმა, რა ცილი არ დასწამა, რა ბრალდება არ წაუყენა, რომლის გახსენება- მოგონება ყოველ რიგიან ადამიანში ზიზღსა და აღშფოთებას გამოიწვევს.

დიდი ილიას გაბათილება უმთავრესად იმისთვის მოისურვა, რომ ილიამ, როგორც ნოე ჟორდანია სწერდა, 50 წლის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე ქართველი ხალხის შეგნება **ბურუსით** შემოსა (კარგი ამის მთქმელს მოუვა — კარგი მართალი ეს იყოს!) და ამ „ბურუსისა“ და „ნისლის“ გაფანტვა მიზნათ დაისახა.

იმ ხანებში, რომელსაც მე მოგახსენებთ, ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის პიროვნების გასაბათილებლად ნოე ჟორდანიას სულ სხვა ჯურის ეპიტეტები ჰქონდა გამზადებული. ერის და ეროვნული უფლების სახელწოდებას იმ დროს მის სამრევლოში დიდი ბაზარი არა ჰქონდა და ამიტომაც ეს სიტყვები ნოე ჟორდანიას დავთარშიაც არ ეწერა. ერის მაგიერ სალაროში დამზადებული ჰქონდა: მუშათა კლასი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიატი, გლეხობა, ქართველი ხალხის უმრავლესობა და სხვ.

და ჩვენი დიდი ილიაც თურმე სწორედ ამ დიდი უმრავლესობის წინაალმდეგი ყოფილა. იგი, როგორც ნოე ჟორდანია ბრძანებდა, მოკალათებული იყო ვიწრო, ერთი მუჭა თავად - აზნაურთა წრეში და მხოლოდ და მხოლოდ მარტო ამათ კეთილდღეობაზე ზრუნავდა. თურმე, ღამე ლოგინშიაც კი ისე არ გადატრიალდებოდა მცხოვანი მოღვაწე, რომ არ ეფიქრა — რით ვაცხონო ერთი მუჭა თავად - აზნაურობა და რით წავწყმიდო ქართველი ერის უმრავლესობაო. ასეთი დაღით გაისტუმრა დიდი ილიას სახელი ხალხში და ასეთი სახელწოდების ნიმბუსი შემოავლო ჩვენ სასახელო ადამიანს. ეს არ აკმარა და ხალხის ამოძრავებაც დაიწყო ილიას წინაალმდეგ. გავიხსენოთ ეგრეთ წოდებული „ნულთა“ პროტესტები, რომლებიც ბეჯითად იბეჭდებოდა ჟურნალ „კვალის“ ფურცლებზე.*) ნოე ჟორდანია გამარჯვების დღეს ზეიმობდა და დღესაც კი გამარჯვებული ფალავნის დოშლული წელიდან არ მოუხსნია!

შემდეგში ხომ ნოე ჟორდანია, მახარაძე - გელეიშვილებმა რაღა არ დასწამეს დიდ სახელოვან ადამიანს, იგი უბრალო სისხლის სამართლის დამნაშავედ დასახეს, ადამიანის მკვლელამდის ჩამოახდუნეს და ასე და ამ სახით ცდილობდნენ მისი სპეტაკი, შარავანდედით შემოსილ არსების გამურვას.

მაგრამ ნოე ჟორდანიას სავალალოთ სიმართლემ გაიმარჯვა, ჭეშმარიტებამ სიკვდილი დასთურგვნა; დიდი ილიას სული აჩრდილის სახით ჩვენ ხალხს ბრწყინვალედ მოევლინა და მთელმა ჩვენმა ერმა, მიუხედავად სულის შემხუთავ მდგომარეობისა ღირსეულად იდღესასწაულა მისი დაბადების ასი წლის თავი. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მრავალი „ნულებთაგანი“ დღესაც დღეგრძელობით ცხოვრობენ და დიდი ილიას ასი წლის იუბილეიში მხურვალე დაგულწრფელ მონაწილეობას ღებულობდნენ. მხოლოდ ფილიპე მახარაძეს, პეტრე გელეიშვილს და მის ჯურის ხალხს პირი მიწით ამოევსოთ, ილიას მკილავთ შავი, მძიმე ლოდი დაედოთ, რომელსაც ისინი ვერასდროს ვერ გადაუბრუნდებიან.

ასეთი აბჯარით შეიარაღებული ნოე ჟორდანია ლახტს ხელიდან ალარ აგდებდა და როგორც ძლევამოსილი, მამლაყინწასავით ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს. არ დარჩენია არც ერთი მოღვაწე, რომელიც კი მას ჭკვაში არ მოუვიდოდა, მოღალატეთ და ხალხის დამქცევად არ გამოეცხადებინოს. ნ. ჟორდანია თავისი განაჩენის დასადასტურებლად სხვა და სხვა თვალთმაქც ოინებით მთელ რიგ მოწამეთა

*) იხ. ილიას შესანიშნავი წერილები ჟორდანიას წინაალმდეგ, მის თხზულებათა სრულ კრებულში. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდს შოულობდა. ხშირად ამ გუნდს ქვეყნის დასაყრუებლად ისე დააყვირებდა, რომ თუ სადმე სამართალი იყო, ყურებში თითები თითონვე უნდა დაეცვათ — ნეტა ეს რა გვესმისო!

იქ, როცა ჩვენს ქვეყანაში უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო, იყვნენ მრავალი სათვალჩინო მოღვაწენი, რომლებიც ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა- საქმიანობას შესაფერად კბილს უჩხრეკდნენ და მის ქარაფშუტა შეხედულება - შეფასებას გარდუვალ დაღით დაღავდნენ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაკარგვამ, სამშობლო მხარის მოშორებამ და ნაციონალური ემიგრაციის უცხო სახელმწიფოებში გაბნევამ ფსიქოლოგიურად ნოე ჟორდანიას გაბოროტებულ სულის კვეთებას სადავეები დააწყვიტა და ესეც ბოროტი აზრების გარშემო სისტემატიურათ ავარჯიშებს თავის გონებას. აქ უფრო მეტი დრო და გარემოება მიეცა, შესაფერი პირობები შეექმნა. მოღალატეობა, მტერთან კავშირი სხვა და სხვა სახელმწიფოს, „კონტრ - რაზვედკასთან" (ამ სიტყვას ბ. მ. არსენიძის ლექსიკონიდან ვსესხულობთ) თანამშრომლობა ნოე ჟორდანიამ ისე გააიაფა, რომ თითონ და მისი ამყოლ - დამყოლნი ყოველ გზა ჯვარედინზე ხურმასავით არიგებენ. ამ სიტყვებს ეს ვაჟბატონები ხშირად თავიანთი დიდი ხნის მეგობრებს და აზრთა თანამოზიარეთაც გულუხვად სთავაზობენ. ინგლისის გამოჩენილი მწერალი კენანი, რომელმაც რუსეთის ემიგრაცია საუცხოოდ დაახასიათა, ერთ ერთ თავის ნაშრომში სწერს: ემიგრაციის მუდმივმა გაჭირებამ, სულიერმა აფორიაქებამ, შეჰქმნა ისეთი ატმოსფერა, რომ დიდი ხნის მეგობრები ერთი მეორეს მოღალატისა და ჯაშუშის ეპიტეტებს ესვრიანო.

განა ნოე ჟორდანია ამისთანებში გამობრძმედილი ადამიანი — ამისთანა საერთო სულიერ განწყობილებით არ ისარგებლებდა და თავისი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ტალახში არ ამოსვრიდა? ამას ერთი გარემოებაც უნდა ზედ დავაკეცოთ. ფაცი - ფუცით გამოქცეულმა ნოე ჟორდანიამ მინც მოასწრო და თან გამოიყოლა თავისი პარტიული მეგობრებ - ამხანაგები; ოთხმოცი პროცენტი გემზე გამოყოლილთა მის მახლობელ ადამიანებიდან შესდგებოდა, რომლებსაც თამამად შეეძლოთ ჩვენ ხალხთან დარჩენილიყვნენ და იმათთან ერთი საერთო ბედი გაეზიარებინათ. ვინც მაშინ სიჩქარის გამო ვერ მოასწრო თან წამოეყვანა — შემდეგში საშვალება მისცა პარიზში სწვეოდნენ. ამ სახით გარს შემოიხვია ამალათა ჯგუფი, რომელსაც თუ კი „საჭიროების" მიხედვით ეტყოდა „მუხას ვაშლი ასხიაო" ხმა შეტკბილებულად შესძახებდნენ: ასხიაო!

გადმოხვეწილობაში — სულ პატარა სიჩუმის შემდეგ, ნოე ჟორდანიამ კვლავ გახსნა მაბეზღრობის სეზონი და საქართველოში გაგზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნა მაბეზღრობის საიდუმლო წერილი, რომელშიაც მთელ რიგ ცნობილ პატრიოტ მამულიშვილებს მოღალატე ჯაშუშებად აცხადებდა. აქედან დაიწყო ქართველ ემიგრანტთა შორის შუღლი, შეხლა-შემოხლა. მას მერე ცილისწამებათა დენა არ შეწყვეტილა. შორს ნუ წავალთ, ძალიან შორეულს ნუ გავიხსენებთ, მოვიგონოთ ბ. ალ. ასათიანის წინააღმდეგ მძიმე ბრალდება, რომელიც მას ნოე ჟორდანიამ წაუყენა და რომლის საბუთიც მას ხელში არა ეჭირა რა. დღეს კი ბ. ალ. ასათიანი ნ. ჟორდანიას გვერდში ამოსდგომია და იმასთან ერთად მთელ რიგ ქართველებს მოღალატედ აცხადებს. არც თუ ბ. გვაზავა გადარჩენია გაუკაწრავი; ერთხელ — არც ისე შორს არის ის დრო, ბ. გ. გვაზავასაც უკიჟინებდნენ სამშობლოს მოღალატეობას, ნ. ჟორდანია და მისი ამჭრები. სამართლიანად აღშფოთებულმა ბ. გვაზავამ 1922 წ. ბერლინში ყოფნის დროს ჩვენ საელჩოში არ შემოიარა, ვინაიდან იქ ეგულებოდა ნოე ჟორდანიას ელჩი ვლ. ახმეტელი. თუმცა ვლ. ახმეტელი ნოე ჟორდანიას ელჩი არ იყო, არამედ საქართველოსი! ამისთანა აქლემს ხშირად „ქართლოსის“ რედაქტორ -ხელმძღვანელის წინაშეც დაუჩოქნია. მაგრამ როცა სამშობლოს „განსაცდელი“ დაინახეს, ჩვენ მიერ დასახელებული პირებიც ნ. ჟორდანიას გვერდში ამოუდგნენ და ჟორდანიასთან ერთად სხვებს ესვრიან ტალახის გუნდებს. რომელი ერთი მოვთვალოთ, ემიგრაციაში არ დარჩენილა არც ერთი ადამიანი, რომლისათვისაც მძიმე ბრალდება არ ესროლოს. „ბალლო რა გატირებსო — გამიდის და ვტირიო! ასე ემართება ნ. ჟორდანიას!

ნ. ჟორდანიამ როცა ქართველი ემიგრანტები მოილია, ახლა ხელი გაიწოდა მეზობელ ერის სათვალჩინო მოღვაწეთა წინააღმდეგ. ჯერ ჯეროობით ნიშანში ამოღებული ჰყავს ბ. ჰაიდარ ბამატი. ჰაიდარ ბამატი ქართველის ერის მტერი, კავკასიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ყოფილა...

ბოლშევიკების აგენტი, რუსეთის დიდი მოხელე, ოსმალეთის ნიერ მოსყიდული ადამიანი და სხვა, ერთი სიტყვით — თუ სადმე ცოდვა მოიპოვება ყველა ერთად გამოჰკრა და ზურგზე წამოჰკიდა. ბ. ჰაიდარ ბამატს ჩვენი გამოსარჩლება არ ეჭირვება, მას იმდენი ნდობა და პატივი აქვს დამსახურეული თავის ხალხში, რომ ნოე ჟორდანიასა და მისი მწე - მქებართა წრიპინი მთიელთა მცხოვრებთ ჭკვას ვერ აუბნევს. ბ. ჰაიდარ ბამატი დიდი პატრიოტია თავის ქვეყნისა, წრფელი პატრიოტი კავკასიის დამოუკიდებლობისა და კავკასიის ხალხთა სოლიდარობის. მხოლოდ გაბოროტებულ, წვრილი ანგარიშის და მშურიანობით აღსავსე ადამიანებს შეუძლიანთ საზიზღარი ჭორი და სიცრუე ავრცელონ მის წინააღმდეგ. ეტყობა, კავკასიის ერთა შორის მეგობრული განწყობილებისათვის ესეც საჭირო ყოფილა!?

ჟურნალ „კავკასში“ თანამშრომლობისათვის ზ. ავალიშვილი, მთავარ სარდალი გენერალი კვინიტაძე, გრ. დიასამიძე, შალვა ამირეჯიბი და ახვა თანამშრომლები იმ სახელოვან კრებაზე „ქართლოსის“ ხელმძღვანელის პირით საქართველოს მოღალატეებათ გამოაცხადეს. მერე ვინ? ჩვენი მთავარ სარდალი, რომელსაც თავისი სამხედრო გამოცდილებით, სამხედრო უნარიანობით რამდენჯერმე გადაურჩენია ჩვენი ქვეყანა! ზ. ავალიშვილი, რომლითაც შეუძლიან იამაყოს ყოველმა ერმა! იგი ჩვენი ერის „ლოგოსია“, აზრისა და გონების მებაირახტრეა. და ჩვენი პოლიტიკური „ნედოროსლები“ მას პოლიტიკურ სიკვდილს უპირებენ. ვაი, შე ქვეყნის ოხრობავ! გრ. დიასამიძეს ეროვნულ აღტკინებას, საქართველოს სიყვარულს გულიდან ვერავინ ამოგლეჯავს. შალვა ამირეჯიბს, ქართული ენისა და მწერლობის მაესტროს, სიყრმიდგანვე დიდი ილიას სწავლაზე აღზრდილს ჩვენი დროის ქონდრის კაცუნები, რომლებმაც მხოლოდ ემიგრაციაში დაიწყეს ნაციონალური კატეხიზმის ჩხირით კითხვა, ერის ინტერესების მოვლა-პატრონობას ვერ ასწავლიან.

„ბრძოლის ხმამ“ „კავკაზ“ის ქართველ თანამშრომელთა „დანაშაული“ რომ უფრო გააძლიეროს დაღესტანელი ქართველები უწოდა. დაღესტანი და დაღესტნობა ნოე ჟორდანიამ სალანძღავ სიტყვათ გა მოიტანა. ამას ალბათ კარგად დაიხსომებს ყოველი დაღესტნელი, ყოველი კეთილ სინდისიერი ქართველი. დაღესტნელებმა თავისი რა ინდული, გმირული ბრძოლით ოცდა ათი წლის განმავლობაში დიდი რუსეთის წინააღმდეგ მთელი ევროპა გააოცეს და მისი სახელი არავისთვის დამამცირებელი არ უნდა იყოს, პირიქით საქები და თავმოსაწონებელია. თქვენ, არ ვიცი —მკითხველო რას ფიქრობთ — მე კი ვიტყოდი, რომ ლევანტიელობას დაღესტანელობა მირჩევნია!

ვის რა უფლება აქვს ამა თუ იმ ქართველს აუკრძალოს ამა თუ იმ ორგანოში თანამშრომლობა; მით უმეტეს დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანოში?! ნეტა ვისგან უნდა ავიღოთ დასტური და ლოცვა კურთხევა?! დღეს „კავკასია“ ნიშანშია ამოღებული, გუშინ სხვა იყო, გუშინწინ კიდევ სულ სხვა ორგანო. ბერლინში გამოდიოდა თვიური გაზეთი „კლდე“, რომელმაც გერმანიაში საკმარისად სიმპატიური შთაბეჭდილება დასტოვა. გაზეთი კეთილსინდისიერათ ემსახურებოდა ეროვნულ ინტერესებს. მაგრამ რა განგაში ასტეხეს დასახელებულ ორგანოს წინააღმდეგ ჟორდანიას ჯამიტლეკიებმა. თვით „ქართლოსის“ რედაქტორიც კი სერიოზულად მიშლიდა გაზ. „კლდეში“ თანამშრომლობას. ჩემს ორგანოში უნდა სწეროვო. იმ დროს ის გაზეთ „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი იყო, მაგრამ ვიდრე კისერს მოვიბრუნებდი „თეთრი გიორგის“ რედაქტორმა გაზეთ

„ქართლოსი“ გამოსცა. არც „თეთრი გიორგში“ არც „ქართლოსში“ თანამშრომლობა სათაკილოდ არ მიმაჩნია და არც იქ მომუშავეთ ერის მოღალატედ გამოვაცხადებ, ეს მხოლოდ ნოე ჟორდანია და „ქართლოსის“ ხელმძღვანელის ბრძოლის ფანდებია, რომ ვინც მათ ორგანოებში არ თანამშრომლობენ და ვინც მათი პოლიტიკური სიბრძნის სარისტით არ ხელმძღვანელობენ, ისინი აუცილებლად გამცემელ - მოღალატენი უნდა იყვნენ. არა, ბატონებო, ნოე ჟორდანიასთან ულლის გაწევა სახიფათოა, მალე გამოგეშლებათ და ისე უტიფრად გიბრუნებთ კეხს, რომ თქვენ თვითონ გაგიკვირდებათ, იტყვით: ეს ვის გადავეკიდეთო! ცნობილი სია ბაწრით მოჭირებული სათუთად აქვს შენახული ზანდუკში. როცა მოეპრიანება მაშინ გახსნის და მტრის აგენტად და ერის მოღალატედ გამოგაცხადებს. ერთხელ ეს ავგაროზივით დახვეული სია გაშალა და თავისი მინისტრი ცხარე ცრემლით ატირა — ისეთი საზიზღარი ბრალდება წაუყენა. ხშირად გაგვიგონია მის მახლობელ თანამშრომლებისაგან, რომ ოთხ კედელს ‘იუა მჯდომთ გვეშინიან კედლებმა ამბავი არ მიუტანოს ნოე ჟორდანიასო და კიდევ ქართველი საზოგადოებისა და უცხო საზოგადოების წინაშე საზიზღარი ბრალდება არ წამოგვიყენოსო!

დეე განაგრძოს ნოე ჟორდანიამ თავისი საქმენი საგმირონი. „კავკასის“ თანამშრომლების დიდი უმრავლესობა ისეთ ასაკში არიან, რომ მათ დიდი ხანია შიშის გრძნობა დაჰკარგეს . დეე, პარიზის რესტორან- ყავახანაში გამოატანინოს დადგენილებანი, მაგით ეგ ჩვენ გულს ვერ გაგვიხეთქს; ჩვენ ყველა მაგის ოინბაზობას გულდამშვიდებით მოვისმენთ, მაგით არაფერი დაგვიშავდება, მხოლოდ თითონ კი ნოე ჟორდანიას, საზიზღარი ცილის მწამებლის სახელი შერჩება.

ვლ. ახმეტელი

„კავკაზის“ გარშემო

ჩვენი ემიგრაციის ერთი ნაწილის მიერ ატეხილი აურზაური ჟურნალ „კავკაზის“ და კერძოდ მისი ქართველი თანამშრომლების წინააღმდეგ, იძულებულს გვხდის ჩვენც ჩავერიოთ ამ კამათში და ვსთქვათ ჩვენი ყოველგვარ მიკერძოებას მოკლებული, დამოუკიდებელი აზრი.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ბ. ჰაიდარ ბამატის მეთაურობით და ბევრ წარჩინებულ ქართველთა მონაწილეობით გამოდის ჟურნა-

ლი „კავკაზი“ — „ორგანო დამოუკიდებელ ეროვნული აზრის.“ ამ ჟურნალში ქართველების გარდა ღებულობენ მონაწილეობას, ჩვენ მეზობელ ერთა წარმომადგენლები. ეს კავკასიელ ნაციონალისტთა ორგანო თავის არსებობას ვერ გაამართლებდა, თუ ის არ აწარმოებდა კავკასიის რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის პროპაგანდას და ბრძოლას.

ამ მხრივ რუსულ ენაზედ დღემდის გამოსულ 48 ნომერში და ამ წელს სხვა და სხვა ენებზედ გამოსულ გამოცემებში მუდმივ ერთი და იგივე იდეა ტარდება. ეს გახლავთ რუსეთის დარღვევის აუცილებლობა და იქ მომწყვდეულ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლება. უმთავრესად კი განთავისუფლებულ კავკასიელ მოძმე ერთაგან კონფედერატიულ ნიადაგზედ სუვერენულ სახელმწიფოს შექმნა. ვიმეორებთ, კავკაზის ყველა წერილებში ეს აზრი წითელი ხაზით არის გავლებული.

თითქოს სასიხარულო და ყველა ქართველისათვის მისაღები უნდა ყოფილიყოს „კავკაზის“ ასეთი პოზიცია. თუ ემიგრანტული ქართული ჯგუფები „კავკაზს“ და იქ თავმოყრილ ქართველობას აქტიურ დახმარებას არ გაუწევდნენ, მის საწინააღმდეგო მუშაობისათვის მაინც საბაბი არ უნდა ქონოდათ. უცნაურად მოეჩვენება მკითხველს, მის შემდეგ რაც ზემოთ ჩვენ „კავკაზის“ მიერ აღებულ ხაზზე ვსთქვით, მაგრამ მოხდა სრულიად წინააღმდეგი. თავიდანვე კავკაზის გამოსვლას მტრულად შეხვდა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა შემთხვევით გაქართველებულმა მენშევიკურ პარტიის მეთაურობამ. წელს კი მენშევიკურ ბანაკს ამ მიმართულებით ზურგს უმაგრებს ზოგიერთი ქართული ეროვნული ჯგუფი და პირი.

ამ წერილის მიზანია ფარდა ავხადოთ იმ ერთის შეხედვით უცნაურობას, რომელმაც ქართველობის ერთი ნაწილი დაუპირისპირა ჟურნალ „კავკაზს“ და მის თანამშრომლებს. როგორც ზემოთ ვსთქვით პირველობა „კავკაზის“ წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაში მენშევიკებს ეკუთვნის. უნდა ვსთქვათ რომ საბაბი ამ კომპანიის ატეხისათვის მენშევიკებს ბევრი ჰქონდათ მიცემული თვით კავკაზის ფურცლებზედ. კავკაზმა განიხილა რა მიზეზები ჩვენი თავისუფალი რესპუბლიკების დაღუპვისა და კავკასიაში კვლავ რუსის ბატონობის განმტკიცებისა, ბრალი მენშევიკურ უბადრუკობას დასდო.

მენშევიკური პარტია, სწერდენ კავკაზელები, აღმოჩნდა სრულიად უბადრუკი და უმწეო, როგორც ხელმძღვანელი პარტია ამიერკავკასიისა და საქართველოსიო.

ამ პარტიას, განაგრძობენ კავკაზელები, ბრალი უდევს არა მარტო საქართველოს დაღუპვაში, არამედ ყველა მოძმე რესპუბლიკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დალუპვაშიცო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვინც თავის თვალით იხილა და ყურით უსმინა მენშევიკების მოღვაწეობას 1918 — 21 წლის ძანძილზე, ის „კავკაზის“ ამ დებულებას ვერ უარყოფს. მაგრამ ასეთი შეფასებისათვის ხომ პოლიტიკური სიპატიოსნე და ობიექტივობაა საჭირო და ჩვენ ხომ მენშევიკებს ამაებს ვერ მოვთხოვთ.

მეორე დებულება რომელიც „კავკაზმა“ წამოაყენა ეს იყო მესამე ინტერნაციონალის მოკავშირე მეორე ინტერნაციონალის და მაშასადამე იქ შემავალ მენშევიკურ პარტიის წინააღმდეგ ხაზის აღება. კავკაზელები სრული სისწორით აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია ერთ და იმავე დროს, კავკასიის განსათავისუფლებლად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა და ამასთანავე საბჭოთა რუსეთის და მესამე ინტერნაციონალის დამცველ და მოკავშირე მეორე ინტერნაციონალის წევრობა და მის რეზოლუციებზე ხელის მოწერაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ობიექტიურ ქართველ მკითხველისათვის არც ამ დებულებას სჭირია კომენტარია და ეს დებულება უდავოთ მისაღებია ყოველ ჭკუათა მყოფელ ქართველისათვის. მენშევიკებს კი, მოგეხსენებათ, თავიანთი უცნაური ლოლიკა აქვთ და აბა როგორ შეურიგდებოდნენ ეს ბატონები ან ამ დებულებას.

მენშევიკების მიერ „კავკაზის“ წინააღმდეგ ბრძოლა, რომ კავკაზის მიერ წამოყენებულ ზემო ორ დებულებით . იხსნებოდეს, მაშინ ჩვენ შეგვეძლო მენშევიკური გალაშქრებისათვის შემარბილებელი მიზეზები კიდევ მოგვეძებნა.

რაც არ უნდა შემცდარი იყოს ადამიანი, ან ჯგუფი თავის პოლიტიკურ საქმიანობაში, ან იდეათა სფეროში, ჩვენ მას ვერ დაუშლით თავის დაცვას და თავის მოქმედების გამართლების სურვილს. მაგრამ მენშევიკების „კავკაზის“ წინააღმდეგ წარმოებული კომპანიის მთავარი მიზეზი მარტო ამ თავის მართლების სურვილით არ არის გამოწვეული. ძალის თავი აქ სულ სხვაგან მარხია.

ყველას მოეხსენება მენშევიკთა ახირებული პრეტენზია. მათი პარტიის დასაბამიდან, ეს ბატონები ხომ თავის თავს თვლიდენ მონოპოლისტებად ყველგან და ყველაფერში. მათმა ასეთმა უხეირო პრეტენზიამ დამოუკიდებელი საქართველო, სამი წლის არსებობის შემდეგ კატასტროფამდის და კვლავ უცხო უღლის ქვეშ მიიყვანა. მენშევიკებმა ეს მარცხი თავს დაატეხეს საქართველოს ისეთ ხელსაყრელ პირობებში, რომელიც საქართველოს მრავალ საუკუნოვან ისტორიის გასწვრივ ხშირად არ მოსწრებია. ეს გახლდათ ჩვენი ყველა მოსაზღვრე, ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისთვის მუდამ სახიფათო დიდი იმპერიების დასუსტება და დანგრევის ფაქტი. მენშევიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიას, რომელსაც ჩვენმა უკულმართმა ბედმა აკუთნა ასეთ დროს ჩვენი ერის მესვეურობა, ნატამალი გაგება რომ ჰქონოდა კავკასიურ და ქართულ სახელმწიფოს წარმართვისა, დღეს კავკასიონის და მასთან ერთად ქართლის ბედიც სხვაგვარად იქნებოდა გადაწყვეტილი. ჩვენი ქვეყნის უბედურება, იმედი გვაქვს, ერთ კარგ ნაყფოს მაინც გამოიღებს, მის თავისუფლების მესაფლავეებს მენშევიზმ - ბოლშევიზმს, თავისუფლების დაბრუნებასთან ერთად, თავისი მიწა - წყლიდან აღგვის.

ერთის შეხედვით საფიქრებელი იყო, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მენშევიკებს არ იცნობს, რომ იმ სასტიკ მარცხის შემდეგ, რაც მათი უბადრუკობით მენშევიკებმა საქართველოს თავს დაატეხეს, საზღვარ გარეთ გამოქცეულები მაინც ჭკუაზე მოვიდოდნენ.

ბუნებრივი იქნებოდა მენშევიკურ პარტიას და მის ბელადს ბ. ნოე ჟორდანიას თავისი შეცდომები აღეარებინათ. ბ. ნოე ჟორდანია აქ მაინც უნდა ამაღლებულიყო იმ ღირსებამდის, რომელიც მას ბედმა არგუნა —საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის. მას უნდა შემოეკრიბა თავის გარშემო ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართულ ეროვნულ ბანაკის, შეექმნა ქართული ნაციონალიზმის ნამდვილი შტაბი და სხვებთან ერთად ეხელმძღვანელნა ქართული საქმისათვის. შესაძლებელია ასეთ საქციელს მისი წარსული ცოდვები და დანაშაულობანი დაეფარა. მაგრამ, მართლაც „არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი“ ო. ბ. ჟორდანია დარჩა ისეთივე სექტანტი, როგორიც ის ყოველთვის იყო. თავის ბატონობის განმტკიცების სურვილს მან ყველაფერი ანაცვალა. ქართული საქმის კეთების ნაცვლად, მან პირადი და ჯგუფური საქმე აკეთა და მის ძველ დანაშაულობას ბევრი ახალი შემატა, როგორც აქ ემიგრაციაში, ისე იქ საქართველოშიც.

ამ პირადი საქმეების კეთების და მის ბატონობის განმტკიცების ხელის შემშლელთ ბ. ჟორდანია ვერ ითმენს. ამით აიხსნება ის არევ დარევა, რაც ბ. ნ. ჟორდანიამ შეიტანა ემიგრაციაში. რომაული თქმულება „დივიდე ეტ იმპერა“ მას შესამჩნევად შეთვისებული აქვს.

გაერთიანების ნაცვლად ბ. ჟორდანიამ ხელი მიჰყო დანაწილება-დანგრევას. მისი მეოხებით დაიყო ეროვნული პარტიები, მან საკუთარი პარტიაც სამად გაჰყო და წარმოიდგინეთ ისიც კი მოახერხა რომ ქართველ ესერების ორ კაცისაგან წარმოდგენილი ფრაქციაც ორად გაჰყო. (ბ. ნუცუბიძის სამარცხვინო საქციელი!)

ამ ნანგრევებზე აიგო თავის ტახტი ბ. ჟორდანიამ. შექმნა კარიკატურა ქართული ეროვნული ცენტრის, კავკასიური ფრონტის, პრომეთეს ფრონტათ წოდებულის და ამ თავის ბატონობის განმამტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ ადმინისტრაციულ აპარატების შესანახად სახსარიც იშოვნა. რო-
გორ იშოვნა ეს სახსარი ბ. ჟორდანიამ და ან რაგვარ მადლიერი იქნე
ბიან მომავალში კავკასიელები მთლიანად და ქართველობა კერძოდ,
იმ სახელმწიფოსი, რომელიც ბ. ჟორდანიას და მის კრეატუნებს დახ-
მარებას უწევენ, ეს მომავლის საკითხია. ფაკტი კი ერთია, დღეს ბ-ნი
ჟორდანია თავის ილუზიურ ტახტზე ზის და მბრძანებლობს.

ბ-ნი ჟორდანია ის ხვთის მიერ ახლად მოვლინებული მოციქუ-
ლი გახლავთ, რომელიც „ურწმუნოებს" არ ინდობს და რადგანაც
ჯერხნობით მათ ხმლითა და ცეცხლით ვერ ებრძვის, სხვა უფრო და
ბალ ხარისხის საშვალებებს ხმარობს. ინტრიგა, პროვოკაცია, ცილის
წამება, დაბეზღება —აი, რა არის ამჟამად ბ-ნ ჟორდანიას და მისი
კრეატურების იარაღი! საქართველოში წარგზავნილი მის მიერ ხელ-
მოწერილი დაბეზღების წერილის ფაქსიმილე ხომ ყველამ ვიხილეთ.

ასეთ „გუნება განწყობილებაზედ" მყოფი აუტოკრატი ბ-ნი ჟო-
რდანია, რასაკვირველია ვერ მოითმენდა კავკაზის ჯგუფის გამოსვ-
ლას. საკმარისი იყო ბატონის განსარისხებლად ჯერ ის ბრალდებე-
ბი, რომელიც „კავკაზმა" ჰკადრა მენშევიკურ პარტიას და ბატონ
ჟორდანიას. მაგრამ დახეთ უბედურებას, კავკაზის ჯგუფი ცხოველ-
მყოფელი აღმოჩნდა, მათმა ორგანომ რეგულიარულად იწყო სვლა,
ქართველ თანამშრომელთა რიცხვიც გაიზარდა. კავკაზში თანამშ-
რომლობა დაიწყო ისეთმა ყოფილმა თვალსაჩინო წევრმა ბ. ჟორდა-
ნიას ბანაკისამ, როგორიც ბ. ლადო ახმეტელი გახლავთ. ჟურნალის
რუსულ გამოცემებს მიემატა, ინგლისური, გერმანული, თურქული
და ქართული გამოცემები.

ყველა ამ გამოცემებში კავკასიურ იდეის დაცვასთან ერთად
მხილებაა ბ. ჟორდანიას და მისი პარტიის ნამოლვაწარი განთავისუ-
ფლებულ კავკასიელ ერთა ხელ ახლდ დაღუპვისათვის. ბ-ნმა ჟორ-
დანიამ იგრძნო, რომ ასეთი ძლიერი ჯგუფის გაჩენა საშიში იქნებო
და როგორც მისი ბატონობის, აგრეთვე რაიმე გავლენის შესანარჩუ-
ნებლად უცხოეთში, თუკი ვიგულისხმებთ, რომ მას სადმე რაიმე გა-
ვლენა კიდევ მოეპოვება. უმთავრესად კი ბ-ნ ჟორდანიას იმ მადნის
დაშრეტის საშიშროება შეექმნა, რომლითაც ის თავის ბატონობის
აპარატებს ინახავს.

ბ-ნ ჟორდანიას შესაძლოა ყველაფერი აეტანა კავკაზის ფურ-
ცლებზე თქმული, მაგრამ თავის ბატონობის შერყევის საშიშ-
როებას ველარ გაუძლო და განრისხებულმა ამ „ურწმუნოების" წი-
ნააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლისათვის თავის მართლმორწმუნეებს
მოუწოდა.

აი ეს უკანასკნელი გარემოება გახლავთ ის ნასკვი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავეში უძევს ბ. ჟორდანიას პარტიის კომპანიას „კავკაზის“ წინააღმდეგ ყველაფერი დანარჩენი, ვითომდა „პატრიოტული“ გულისწყრომა და „არგუმენტები“ კავკაზის წინააღმდეგ, თვალთმაქცური ზედნაშენია ბ-ნ ჟორდანიასათვის, ზოგიერთ თვალ ახვეულ ნაციონალისტთა ასაყოლებლად და მათის საკუთარ თამაშში შესაყვანად.

გერმანიის ხელისუფლების ჰიტლერის ხელში გადასვლის შემდეგ ევროპის პოლიტიკურ ვითარებაში ბევრი ცვლილება მოხდა.

ჩვენ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია ევროპიულ პოლიტიკაში 1933-ის შემდგომ მომხდარ ევოლუციის სხვა და სხვა ფაზების აღნუსხვა. ვინც ცოტათი მაინც ყურს უგდებს მოვლენების განვითარებას, იმისათვის ცხადია, რომ ევროპამ იგრძნო ბოლშევიზმის საშიშროება და ის თავდაცვიდან შეტევაზე გადადის. პირველი ციკლი ამ ანტიბოლშევიკური მოძრაობისა გასულ ნოემბერს რომში ხელმოწერილ სამთა პაქტით დასრულდა.

ამ პაკტის ძალით ევროპაში ანტიბოლშევიკურ ავანგარდს მეთაურობენ გერმანია - იტალია და აზიაში კი იაპონია.

ამ სახელმწიფოთა მიერ წარმოებულ ანტიკომუნისტურ პოლიტიკას თანდათან უერთდებიან ევროპის მეორე ხარისხოვანი სახელმწიფოებიც. არც ისე შორს არის, ალბათ ის დღე, როდესაც დემოკრატიულ სახელმწიფოთა ჯგუფად წოდებულ ქვეყნების მეთაური ინგლისი, ბერლინ - რომ - ტოკიოს სამკუთხედთან საერთო ენას მოსძებნის ბოლშევიზმის საფრთხის წინაშე.

ლორდ ჰალიფაქსის ვიზიტი ფიურერთან ამ მხრივ უფრო საყურადღებოა. ინგლისს, ნებსით თუ უნებლიეთ, სხვებიც უნდა მიჰყვნენ და ახალ საერთაშორისო ომის თავიდან ასაცდენათ დემოკრატიულ ქვეყანათა ჯგუფად წოდებული სახელმწიფოები უნდა შეურიგდნენ და დალოცონ სამკუთხედის ანტიკომუნისტური და მაშასადამე ანტირუსული პოლიტიკა.

ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს მიღებული კავკასიელ ერების ოფიციალური პოლიტიკის დასაყრდენი მხოლოდ ეს ანტიკომუნისტური სამკუთხედი შეიძლება იყოს. მეორე ინტერნაციონალის და ხალხთა ლიგის იმედით შორს ვერ წახვალთ. ეს უკანასკნელი მაინც უკვე სულს ღაფავს და როგორც სჩანს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ მის ფორმებში.

თუ შესაძლებელია კიდევ ვიფიქროთ, რომ ბ. ნოე ჟორდანიას ვინმე კიდევ ცალ ყურს ათხოვებდა დაკარგულ ბატონობის ძებნის საჩივარის მოსასმენად ორ ზემოხსენებულ დაწესებულებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მას და მის ფრონტებს მისასვლელ პირი არა აქვთ იმ ძალებთან, რომელთაც მომავალში რუსეთის და მაშასადამე ჩვენი საკითხიც უნდა გადასწყვიტონ.

ამ ძალებისათვის მარქსისტი ბ. ჟორდანია ნდობა დაკარგული კაცია, ის მეორე ინტერნაციონალის წევრია და მაშასადამე მოკავშირე მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის, რომლის წინააღმდეგ მოხდა ზემოხსენებულ ძალთა შეთანხმება.

ბ-ნ ჟორდანიას ეს ყველაფერი ჩვენზად უკეთ მოეხსენება და სწორედ ამიტომაც აწარმოებს „კავკაზის“ წინააღმდეგ გაშმაგებულ ბრძოლას. მას ბატონობის სურვილი არ დაკარგვია როგორც აქ უცხოეთში, ისევე მომავალ თავისუფალ კავკასიაშიც. ამ მხრივ კი „კავკაზის“ ჯგუფი ბ-ნ ჟორდანიასათვის მეტად საშიში კონკურენტია.

„კავკაზის“ ჯგუფის წევრები ყველა წარჩინებული ქართველი ნაციონალისტებია, კიდევ უფრო მეტი, საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი ბ-ნი გიორგი კვინიტაძე ამ ჯგუფის აქტიური წევრია. ბ. ჟორდანია ფიქრობს: ამათ ჩემსაკით ცოდვა არ მიუძღვით და ქართულ საქმის საკეთებლად ყველგან მისვლა შეუძლიათ. დღეს თუ არა, ხვალ მაინც ეს პირები საჭირო კარებს მიაკაკუნებენო, ამიტომ საჭიროა, რომ მათ ბ. ნ. ჟორდანია დერეფანშივე გადაეღობოს და კაბინეტში ალარ შეუშვას.

მაგრამ როგორ უნდა მოახერხოს ეს ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ? მას ნდობა დაკარგულ კაცს თვით არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ამ საქმისათვის მას ახალი მოკავშირეები სჭირია ქართულ ნაციონალურ ბანაკიდან, რადგან ბ. ნ. ჟორდანიას და მისი კრეატურების ნათქვამს და ნაწერს ფასი არა აქვს სადაც ჯერ არს. კავკაზის ჯგუფის წინააღმდეგ ბ. ჟორდანიამ სხვები უნდა ალაპარაკოს და ამოქმედოს.

საჭირო გახდა ამ საქმეში ყველა ქართველი და განსაკუთრებით ეროვნულ ჯგუფების ჩათრევა. თუ ეს ქართული ჯგუფები ბ. ჟორდანიასთან ერთად დაგმობდენ და გაიცხავდენ კავკაზის ჯგუფს, ბ. ჟორდანიას ნაწილობრივ მაინც განხორციელებულად მიაჩნდა თავის მიზანი, ამ ჯგუფის დისკრედიტაციის და სახელის გატეხისათვის.

თუმცა ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ბ-ნი ჟორდანია თუნდა დროებით მაინც იშოვნიდა მოკავშირეებს ოპოზიციურ ეროვნულ წრეებში, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბ. ჟორდანია პერანგში დაბადებული კაცი გახლავთ და გარემოებამ ამაშიც ხელი შეუწყო.

ჟურნალ „კავკაზის“ რუსულ გამოცემაში დაიბეჭდა ბ-ნ ბამატის წერილი, „ქართლოსის“ თანამშრომელის ბ. დავით მარჯანიშვილის შეკითხვის საპასუხოდ. ამ წერილში ბ-ნი ბამატი ასაბუთებს ჟურნალის მიერ აღებულ პოლიტიკურ ხაზს და აყენებს შემდეგ დებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს: კავკასიაო, სწერს ბ-ნი ბამატი — დღეს მოსკოველ დამპყრობელთა ხელშია და კავკასიელ ერების პოლიტიკის საგანს დღეს მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენს. კავკასიელებს ჩრდილოეთიდან მოსულ დამპყრობელისაგან თავის დასახწევად სჭირიათ მათი სამხრეთის მეზობლის, ოსმალეთის კეთილი განწყობილება და მისი და ინტერესება კავკასიურ ბუფერულ სახელმწიფოს არსებობაშიო, — ამისათვისო — განაგრძობს ბატონი ბამატი, — საჭიროა რომ კავკასიელებმა უდავოთ იცნონ 1921 წელს ბოლშევიკ ოსმალთა მიერ ყარსში დადებული ხელშეკრულება და ამ ხლშეკრულებების ძალით ოსმალურ ფარგლებში შესულ კავკასიურ ტერიტორიების, კერძოდ საქართველოსათვის საინტერესო ართვინ არდაგანის ოლქეთზე ხელი აიღონო. ბ-ნი ბამატი ამაზედაც არა ჩერდება და დასძენს რომ თუ თურქების ბეგობრობის მოსაპოვებლად საჭირო შეიქმნა ბათუმზე თავისუფალი გამოსავალის მიცემა, ჩვენ ამაზედაც უნდა დავთანხმდეთო.

ყველა ზემოდ ნათქვამი უდავო და ლოლიკურია იმ კავკასიურ ოფიციალურ პოლიტიკისათვის, რომელსაც დღეს ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი კავკასიური ჯგუფი აწარმოებს.

1918 წელი თავისი ხელსაყრელ ვითარებებით, განგებამ უწყის, თუ როდის განმეორდება. დღეს კი სხვა არჩევანი ქართულ და კავკასიურ პოლიტიკას არ აქვს. თუ რამდენად ვიზიარებთ ჩვენ პირადათ ამ ოფიციალურ კავკასიურ პოლიტიკას, ამაზე რამის თქმა ან დაწერა ჯერ ჩვენ უდროულად მიგვაჩნია და ეს არც ამ წერილის დანიშნულებას შეიცავს. დაუბრუნდეთ ისევ „კავკაზს“.

ზემოთ ჩვენ ვალიარეთ, რომ ბ. ბამატის დებულებანი ოსმალეთთან დამოკმდებულების შესახებ უდავო და ლოლიკური იყო, მაგრამ საკითხია თუ რამდენად საჭირო და დროულია ასეთ მტკივნეულ ტერიტორიალურ საკითხებზე დღეს წერა. ბ. ბამატს და კავკაზის ჯგუფს შეეძლოთ მათი სრულიად ლოლიკური პოლიტიკა ეწარმოებინათ, ხოლო ტერიტორიალურ საკითხების განხილვა მომავლისათვის გადაედოთ. პოლიტიკაში წინასწარმეტყველობა მეტად ძნელი საქმეა და ვინ იცის კავკასიის ბედის გადაწყვეტის ჟამს, რა სიტუაცია შეიქმნება. მით უფრო არ იყო საჭირო ამ მტკივნეულ საკითხზე წერა, რომ თვით ოსმალეთი, დაინტერესებული მხარე გაჩუმებულია და არაფერს ითხოვს.

ჩვენამდის მოხწეულ უკანასკნელ ცნობებით და ეს თვით „კავკაზშიაც“ აღინიშნა, (იხ. ბ. ზ. ავალიშვილის წერილი.) ოსმალეთი სრულიადაც არ ფიქრობს როდისმე ბათუმზე გამოსავალი გზა ეძიოს და ამ მიზნით პორტიც კი შენდება ხოფაში.

ჩვენთვის გასაგები იყო ბ-ნ ბამატის ზევით მოხსენებულ წერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შემდეგ, ქართულ ნაციონალისტურ წრეების გულისწყრომა. ჩვენც ჩვენ ნაცნობ და მეგობრებს „კავკაზის“ ჯგუფიდან ჩვენი გულისტკივილი ვამცნეთ. მაგრამ რაც ამ პირველ სრულიად სამართლიან რეაქციას მოჰყვა, ყოვლად გაუგებარი და მიუღებელი შეიქმნა. მოხდა კი შემდეგი. ბ-ნი ჟორდანია, რომელიც მეტის მეტად გამწყრალი და დაშინებული იყო „კავკაზის“ ჯგუფის ასპარეზზე გამოსვლით და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად და შესამუსრად, ზემო ნათქვამ მიზეზების გამო მას ძალა აღარ ყოფნიდა, ჩაეჭიდა „კავკაზის“ მიერ მიღებულ პოზიციას — ტერიტორიალურ საკითხების აღძვრას და შეეცადა ნაციონალურ წრეებში შექმნილ უკმაყოფილების თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

ბ-ნი ჟორდანია ხომ „ტაქტიკის“ ვირტუოზია, მან როგორც ასეთმა აიფარა შეურიგებელ ნაციონალისტის ნიღაბი, დააგზავნა ყველა ქართულ ჯგუფებში თავისი დაუღალავი ემისრები და ყველას ბოუწოდა გაერთიანებისაკენ „კავკაზის“ ჯგუფის „მოღალატე და გამყიდველთა“ წინაამღდეგ საბრძოლველად.

ბ-ნ ჟორდანიას ანგარიში სულ მარტივია. მას სურდა მთელი ემიგრაცია გამოეყვანა ასპარეზზე და დაეჯახებია „კავკაზისათვის.“ ხედავთ, მე მარტო არ ვებრძვი „კავკაზს“, ემიგრაციაა გაერთიანებული მის წინააღმდეგო! თუ ვინმეს აინტერესებს საქართველოს და კავკასიის საქმე მე მომმართეთ, გაერთიანებულ ემიგრაციის მეთაურს, სახელგატეხილი და ემიგრაციის ნდობა დაკარგული „კავკაზელები“ არ გამოგადგებათ, მათთვის მორალური და ნივთიერი დახმარების გაწევა ზარალიაო.

ალბათ ბ-ნი ჟორდანია იმასაც ფიქრობს გუნებაში, რომ ამ დახმარებასაც ის უფრო მოხერხებულად მოიხმარს და ამით თავის ბატონობას უფრო განამტკიცებს.

ბ-ნ ჟორდანიას მიზნის მისაღწევ საუკეთესო საშვალებად მიჩნეულ იქმნა, ემიგრაციაში მყოფ ყველა ქართულ პოლიტიკურ ჯგუფების კრების მოწვევა. ამ კრებაზე უნდა გამოეტანათ საერთო რეზოლუცია, გამკიცხავი და დამგმობი „კავკაზის“ ჯგუფის.

რასკვირველია ამ ყველას მიერ ხელმოწერილი რეზოლუციების ასლები, შემდეგში სადაც ჯერ არს იქ გაიგზავნებოდა და ბ-ნ ჟორდანიასაც დასახული მიზანი ნაწილობრივ მაინც მიღწეულად ეჩვენებოდა. ბ-ნი ნ. ჟორდანია რომ თავის მოქმედების ფარგალში აჭაში ეჭვი არავის შეეპარება, მაგრამ მას რომ ამ მანოვრს ვერ მიუხვდებოდნენ და მის ანკესზედ წამოეგებოდნენ ემიგრაციის ზოგიერთი წრეები, ეს კი დაუჯერებელი იყო.

ჩვენ გვეგონა, რომ ამათ მარტო საგარეო პოლიტიკის საკითხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიტინგზე გამოტანის ფაქტის უხერხულობა შეუშლიდა ხელს დ კრებაზე მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ეს კრება 4 დაკემბერს შესდგა. ვეჭვობთ, რომ ბ-ნ ჟორდანიას დამაკმაყოფილებლად მიაჩნდეს მისი შედეგები, თუ კი დამსწრეთა და აკტიურ მონაწილეთა ვინაობას გაიხსენებს, რადგან, როგორც ყოველთვის, ბ. ჟორდანია მხოლოდ სხვისი საშვალებით აკეთებს თავის საქმეებს და რასაკვირველია თითონ არც ამ კრებას დასწრებია.

კრებას დაესწრო ზოგიერთი წევრი ეროვნული ბანაკის, მაგრამ აკტიური მონაწილეობა მიიღო ისევ მხოლოდ ბ. ჟორდანიას ფრონტ'ში მყოფმა ხალხმა და მისვე ყოფილმა პარტიულმა ამხანაგებმა და მოწაფეებმა, დღეს ინტეგრალ ნაციონალიზმის მქადაგებლად მოვლენილებმა ემიგრაციაში. არ ვიცით რამ აიძულა ბ-ნი ვიკტორ ნოზაძე და ბ. ისიდორე მანწკავა ბ. ჟორდანიას ისევ გვერდით ამოსდგომოდნენ —შეიძლება მათში იჩინა თავი ახლად აგზნებულმა პატრიოტულმა გულუბრყვილობამ, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ მათზე მართლდებოდეს ქართული ანდაზა: „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა".

თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ, რომ კრებაზე თავჯდომარეთ მოწვეულ ნაციონალისტთა პატრიარქს პატივცემულ ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს „კავკაზის" ჯგუფში მონაწილე ქართველთა პატრიოტობაში იჭვის შეტანა დაუშვებლად მიუმჩნევია და კრების დასრულებამდის წაბრძანებულა, დავრწმუნდებით, რომ კრების მომწყობთ ბ. ჟორდანია უგუნებოთ დაუხვდებოდა და ქებას არ შეასხავდა. შეიძლება ისიც გაიფიქრა ბ. ჟორდანიამ, რომ ასეთი კრების მოწვევისათვის ფულის დახარჯვა (კრებაზე შესვლა უფასო გახლდათ!) არცა ღირდა! ასეთი რეზოლუციის მიღება ფრონტის ხალხს ოფისშივე შეეძლოთ და თუ ბ. ბ. ნოზაძეს და მანწკავას მისვლაც იყო საჭირო, ისინი ალბათ ხათრს არ გაუტეხდენ მათ ყოფილ მასწავლებელს და ბელადს ბ. ჟორდანიას და თვით ეახლებოდნენ ოფისში.

ყოველ შემთხვევაში ბ. ჟორდანიას ხელთ აქვს დღეს ოფიციალური რეზოლუციები. დარწმუნებული ვართ ბ. ჟორდანია ცდას არ დააკლებს, რომ ეს რეზოლუციები მაქსიმალურად გამოიყენოს „კავკაზის" ჯგუფის შესამუსრავად, მაგრამ ვეჭვობთ რომ თავის მიზნებს მიაღწიოს.

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს კავკაზის ჯგუფის დაცვა და გამართლება. კავკაზში თავმოყრილი ქართველობა ჩვენ დაცვას არ საჭიროებს. ჩვენი წერილის მიზანია ბ. ჟორდანიას და მისი პარტიის უბადრუკობის და ყალთაბანდობის ერთხელ კიდევ მხილება, გამოწვეული იმ გულისტკივილით, რომ ბ-ნ ჟორდანიას და მის აგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნტებს ქართულ ეროვნულ წრეებში კიდევ შესძლებიათ თარეში და იქ დროებით მაინც მოკავშირეთა შოვნა, ისევ ჩვენი წრის საუკეთესო წარმომადგენლების წინაალმდეგ.

იციან კი კრებაზე დამსწრე და ბ-ნ ჟორდანიას პროვოკაციას აყოლილმა ნაციონალისტებმა თუ რას სჩადიან, თუ მათზედ უნდა ვიფიქროთ რომ „მიუტევოს მათ უფალმან, რადგან არა იციან თუ რას იქმონან.“ ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ მათ მართლაც არ იციან თუ რას სჩადიან და ისიც კი არ იციან თუ ვისი წყალობით არის დღეს ქართველობისათვის თავსამტვრევად გადაქცეული ართვინ - არტაანის ოლქების საკითხი.

ნუ თუ 17 წელიწადი, რომელიც ჩვენ გვაშორებს საქართველოს მიერ კვლავ თავისუფლების დაკარგვას, ისეთი დიდი დროა, რომ მიუხედავად ემიგრანტულ დუხჭირულ ცხოვრებისა, ჩვენ გვავიწყებს 1921 წელს მომხდარ ფაკტებს. უბრალო მომაკვდავს ეპატიება ფაკტების არ ცოდნა ან მეხსიერების ღალატი, მაგრამ პოლიტიკაში აკტიურად ჩაბმულ პირებს მოეთხოვებათ ასეთ მცირე მანძილზე მომხდარ ფაკტების ცოდნა და დამახსოვრება.

ბ. ჟორდანიას შესაძლებელია ბევრი რამ აპატიოს მომავალმა ისტორიკოსმა, მაგრამ მის მიერ საქართველოს დაღუპვის ჟამს ჩადენილ დანაშაულს ვერაფრით გაამართლებს. ეს დანაშაული კი სწორედ იმ ოლქების დაკარგვაში გამოიხატება, რომელთათვის შეურიგებელ ნაციონალისტის ნიღაბ ქვეშ ამოფარებული ბ. ჟორდანია ვითომდაც დღეს იბრძვის. და თუ დღეს ბათუმის ოლქი საქართველოს საზღვრებში დარჩენილია, არც ეს არის ბ. ჟორდანიას დამსახურება. ამას ქართველობა უნდა უმადლოდეს თავის სადარაჯოზე დარჩენილ ქართველ მხედრობას.

ჩვენ არ გვინდა დღეს ამ მტკივნეულ საკითხზე ვრცლად შევჩერდეთ. ამის დრო ჯერ არ დამდგარა. თუ ჩვენი თაობა არა მომავალი თაობები მაინც ელირსებიან ხავისუფალ საქართველოს, თავისუფალ ისტორიკოსს, რომელიც ფარდას ახდის ბ. ჟორდანიას ნამოღვაწარს. აღნიშნავს მის მიერ ჩადენილ შეცდომებს და დანაშაულებს ქართველი ხალხის მიმართ და განსაკუთრებულად დაგმობს ბ. ჟორდანიას წყალობით 1921 წელს საქართველოს თავს დამტყდარ ორმაგ უედურებას —დამოუკიდებლობის დაკარგვას და მასთან ერთად ქართული სხეულიდან ზემოხსენებულ ოლქების მოწყვეტას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბ. ჟორდანია ყოველთვის სხვების საშვალებით მოქმედებს, მას საკმარისად ბევრი კარისკაცი ჰყავს მისისურვილის და ზრახვების გასატარებლად. „კავკაზის“ ჯგუფის წინაალმდეგ წარმოებულ კომპანიაშიც იგივე მოვლენას ვხედავთ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟორდანიას სახელით სხვები დარბიან, ემიგრაციას კავკაზის პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებენ, შეხვედრებს და კრებებს აწყობენ, რეზოლუციებს ღებულობენ.

ამ დროს კი გამოდის ბ. ჟორდანიას ოფიციოზი „ბრძოლის ხმა“ №75 და ხელმოუწერელ წერილში (რომელსაც ჩვეულებრივ ისევ ბ. ჟორდანიას აკუთვნებენ), სათაურით „სომეხთა შორის“ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენ ვწერდით: „კავკასია უჭირავს რუსეთს და არა ოსმალეთს, ჩვენი მიზანია ამ ტყვეს განთავისუფლება მისი ბატონისაგან.“ ისინი გვიპასუხებენ: „ოსმალეთმა დაიპყრო ბათუმის ოლქის უდიდესი ტერიტორია, მთელი ყარსის ოლქი“ და სხვა. სრული ჭეშმარიტებაა, ფაქტებზე დავა არა გვაქვს, მაგრამ როცა ისინი ათანასწორებენ ორ სხვა და სხვა ზომის მოვლენას — კავკასიის დაპყრობას მის განაპირა პროვინციების დაკარგვასთან —ამით სავსებით მრუდდება როგორც პოლიტიკური გეზი, ისე სინამდვილე. იშვიათია ორი მეზობელი სახელმწიფო, რომელიც ერთმანეთს არ ედავებოდეს საზღვრებზე. გერმანია ედავება ჩეხო-სლოვაკიას, ვენგრია რუმინიას, იუგოსლავია იტალიას და სხვ. და სხ. ეს დავა უნდა გადაწყდეს მომავალში მოლაპარაკებით, არბიტრაჟით, პლებისციტით თუ სხვა კულტურული ზომებით. მაგრამ ამისათვის საჭიროა ჯერ არსებობდეს თვით სუბიეკტი, მოდავე ერთეული, რომელიც ეძიებს თავის ბუნებრივ საზღვარს. ასეთი ერთეულები აქ, ევროპაში, არსებობენ; ჩვენში კი ეს ერთეული უჭირავს რუსეთს. თავისუფალი კავკასია თვითონ გამონახავს გზებს თავისი საზღვრების საკითხის მოსაგვარებლად, დღის წესრიგში დგას სწორეთ კავკასიის განთავისუფლება. აირენიკ — უსაბერი კი პირიქით, ეძიებენ ჯერ დაკარგულ პროვინციებს, მათ მნიშვენლობას უთანასწორებენ მთელ კავკასიის დაკარგვას და იხრებიან რუსეთისაკენ.“

ცოტა უფრო ქვევით ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „ქართველობა მთლიანად სდგას კავკასიის მთლიანობის ნიადაგზე, აღიარებს საქართველოს ტერიტორიის განუყოფლობას, მაგრამ ამავე დროს ისინი არ სტირიან თმაზე როცა თავსა სჭრიან. ურემის დასაძრავად საჭიროა ხარები მას წინ ებას და არა უკან.“

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ წერილს სპეციალური დანიშნულება აქვს; ბ. ჟორდანიას მრევლში სომეხთა წარმომადგენელნი აკლია და ეს ფაქტი კი მეტად აბრკოლებს მის პოლიტიკურ კომბინაციებს. კავკასიურ „კონფედერატიულ პოლიტიკის“ საწარმოებლად ბ-ნ ჟორდანიას სომხობა სჭირია, მაგრამ ამავე პოლიტიკისათვის ბ-ნი ჟორდანია გრძნობს რომ უმთავრესად ოსმალეთის კეთილი განწყობილებაა საჭირო.

ბ-ნი ჟორდანია ცდილობს ერთის მოქნევით ორი კურდღლის დაჭერას. ზემო მოყვანილი ციტატებით ის ოსმალეთს აშოშმინებს, ხოლო სომხებს, რომ გაუადვილს ამ პილულის გადაყლაპვა იმავე წერილში შემდეგს სწერს: „ასეთივე ხასიათისაა „უსაბერის“ მტკიცება, რომ ჩვენ ვითომ აღარ ვსცნობთ 1914 წლის საზღვრებს და უარვყოფთ 1921 წ. „ხელშეკრულებას“ კავკასიის ოთხ ერთა შორის. ასეთი ხალხი მან მოიკითხოს „კავკაზის“ ბანაკში, რომელსაც თვითონ ის აქებდა და ჩვენს წინ აყენებდა. ჩვენ არც ხელშეკრულებას უარვყოფთ, არც ახალ საზღვრებს ვცნობილობთ“.

ჩვენ სამწუხაროდ ვერ მოვიყვანთ აქ ხსენებულ წერილს მთლიანად, ხოლო ვეკითხებით ბ-ნ ჟორდანიას აყოლილ ნაციონალისტებს, რომელთაც ეს წერილი მთლიანად ექნებათ წაკითხული, რა განსხვავებას პოულობენ ისინი კავკაზის და ბ. ჟორდანიას პოლიტიკის შორის. ჩვენთვის **არსებითი** ერთი და იგივეობა ცხადია, მხოლოდ ნიუანს ჩვენც ვხედავთ და ეს ნიუანსი ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ ბ. ჟორდანიას და მისი პარტიის ყალთაბანდური ბუნებით აიხსნება.

საკვირველია, რომ კიდევ მოიძებნება ქართულ ეროვნულ წრეებში, ბ. ჟორდანიას და მისი პარტიის მოღვაწეობის 40 წლის თავზე ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიანთ ერთი წუთით მაინც მისცენ თავიანთი ნდობა ბ. ჟორდანიას და დაივიწყონ თუ რა დამღუპველი და გამხრწნელი როლი ითამაშა მენშევიზმ ბოლშევიზმა ეროვნულ აზროვნებაში და ქართულ ვითარებაში. ჩვენ კი ბ. ჟორდანიას და მისი პარტიის წარსულის მქონე ხალხს ერთი წუთითაც ვერ მივაკუთნებთ ქართთული ნაციონალიზმის მეთაურობას.

ჩვენ საქართველოს მომავლის იმედს ჩვენი ხალხის ეროვნულ გაჯანსაღებაზე და განმტკიცებაზედ ვამყარებთ, ხოლო ამისათვის კი საჭიროა არა ბ. ჟორდანიას გამაგრება - გაძლიერება, არამედ ბოლშევიზმ - მენშევიზმის ქართულ სინამდვილიდან ძირფესვიანად ამოთხრა.

შეგნებულ ქართველ ნაციონალისტისთვის, სხვაგვარი შეფასება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობისა და მისი მომავლის შეუძლებელია არსებობდეს. მენშევიზმის გადარჩენის ცდა უნაყოფოც არის, რადგან ის ბოლშევიზმთან ერთად განწირულია და ვინც ერთი წამითაც მაინც მას უკავშირდება, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად დანაშაულს იდენს ქართველი ერის მიმართ.

რაც შეეხება „კავკაზს“, მასთან დამოკიდებულებაში ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმ ფაქტით, რომ ამ ჯგუფში თავმოყრილია წარჩინებული ქართველი მოღვაწენი, როგორიც ბრძანდებიან ბ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კვინიტაძე, ზურაბ ავალიშვილი, გიგო დიასამიძე, ლადო ახმეტელი და შალვა ამირეჯიბი.

ამ პიროვნებებს, ცნობილთ ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, როგორც საუკეთესო მამულიშვილთ, ჩვენ ბ. ჟორდანიასთან ერთად ქვას ვერ ვესვრით.

შეიძლება ჩვენი უთანხმოება მათთან უფრო რთული ხასიათის იყოს, ვიდრე ბ. ჟორდანიას და მისი ფრონტების მოჩვენებითი და ხელოვნური უთანხმოება, მაგრამ ეს ჩვენი, ქართული ეროვნული წრეების შინაური საქმეა და ბ. ჟორდანიას და მენშევიკობას აქ ხელი არა აქვთ.

მიხეილ კედია

ბულონი. დეკემბერი 1937 წ.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო, გთხოვთ თქვენი ჟურნალის „კავკასიის“ ფურცლებზე მოათავსოთ შემდეგი ჩვენი განცხადება:

ემიგრაციაში დაიბეჭდა ცაგურიას გაუგონარი და ბინძური შინაარსის წიგნი, რომელშიც სხვა ბევრ ქართველ მოღვაწეთა შორის გალანძღულია ეროვნული გმირი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხსენება, მაგრამ არც ერთმა ქართულმა ორგანომ, მას შემდეგ ემიგრაციაში გაჩნდასულმა, ასეთი აღმაშფოთებელი საქციელი არ დაჰგმო. მენშევიკურმა „ბრძოლის ხმამ“ პირიქით დაიცვა ცაგურია, ხოლო „დამოუკიდებელმა საქართველომ“, რომელიც მისივე განცხადებით „საქართველოს პოლიტიკურ პარტიების ორგანო“ არის, ქართველ უმფროს მხედართა პროტესტის დაბეჭდვაზედ უარი განაცხადა. ცაგურიას წიგნი არ დაჰგმო თავის მეექვსე ნომერში, რომელიც ცაგურიას წიგნის შემდეგ გამოვიდა, „ახალგაზრდების“ ჟურნალმა „ახალმა ივერიამ“, რომელსაც არა წმინდა წყლის სუნი უდის და რომელშიაც პირიქით ვიგინდარები მასლაათობენ ვითომ ჩვენი ყოფილი მთავარ სარდალი გენერალი გ. კვინიტაძე, დიდი ქართველი მამულიშვილი პროფესორი ზ. ავალიშვილი, შალვა ამირეჯიბი და სხვანი საქართველოს ტერიტორიას ჰყიდიან და ასაჩუქრებენ. შალვა ამირეჯიბს პოლიტიკურ ასპარეზზე სპობენ (ალბათ ვილაცას კარნახით). ჩვენ შეფიცულებს ბევრი ზიანი-ზარალი მოგვაყენეს, მაგრამ ჩვენ კიდევ მედგრად ვიცავთ ეროვნულ გმირის ჩოლოყაშვილის ანდერძს და მის დროშას. საქართველოს გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ მამულიშვილების გალანძ-ღვის უფლებას არავის მივცემთ. მაგრამ აი კიდევ გამოვიდა „ახალი ივერიის“ შემდეგი ნომერი და არ ვიცით, რა ამბების შემდეგ, მაგრამ ჟურნალი ვითომ ეხლა კი იცავს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხსენებას, ნაგრამ ისეთ პოლემიკურ წერილში, რომელიც მიმართულია ისევ შალვა ამირეჯიბის წინააღმდეგ,

ჩვენ მოუწოდებთ ემიგრაციაში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელის გამოყენებას ქვენა პოლემიკური აზრით თავი ანებონ. ასეთი დაცვა მის სახელს არ ესაჭიროება. ნურც იმას წარმოიდგენენ ისინი რომ ემიგრაციაში ყველა ისინი პროფესორები გახდნენ. ვისაც მართლა შესტკივა გული საქართველოს მომავლისათვის, დრო არის რომ ყველამ თავი მოიყაროს ერთვნული გმირის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის დროშის ქვეშ და არ მისდევდნენ ყველა ჯურის მარქსისტებს და მათ კუდში მავალ დაქირავებულ მეშარჯვენეებს. ჩემი პირადი თხოვნა ახალგაზრდებისადმი ასეთია: დღეს ჩვენ გვჭირია მხოლოდ მებრძოლი ჯარის კაცები და არა ცრუ ჟურნალისტები. საბედნიეროდ ემიგრაციაში ჩვენ გვყავს: გენერალი გიორგი კვინიტაძე, გამოჩენილი არა მარტო საქართველოში პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, ვლ. ახმეტელი, გრ. დიასამიძე, შალვა ამირეჯიბი და ბევრი სხვანი, რომლებსაც ქართული ახალ გაზრდობა უნდა მისდევდეს, როგორც უბრალო ჯარის კაცი და ამავე დროს უნდა ფიქრობდეს რომ ის გენერალი გახდეს. ჩვენი ახალგაზრდობა მიახწევს ამას მხოლოდ და მხოლოდ ამ ღირსეული მეთაურების საშუალებით.

რაც შეეხება შალვა ამირეჯიბს, ის ქაიხოსროსთან და ჩვენთან ერთათ იბრძოდა საქართველოში პოლიტიკურად და იარაღით ხელში და მისი ძაგების ნაცვლად უკეთესია მისმა ავადმხსენებლებმა მის ასეთ მაგალითს მიბაძონ.

ელიზბარ ვაჩნაძე

Le gérant : R. Cornel

Imprimerie de Navarre — 5, rue des Gobelins, Paris (13e).